სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 ივლისი 2005 №155 (2478) ფასი 50 თეთრი



ჯილარდინო და მილანი დასრულდა

დღეს პარმელი კონტრაქტს გააფორმებს

5



კლასიკური იმედგაცრუება

ქართველთა ერთი ბრინჯაო

11

ოლიმპიადამ სოფტბოლი და ბეისბოლი მოისაკლისა

12

ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ტალინური სტალინური: დინამო და რკინის ფარდა

დინამოელიდავით ოდიკაძე (ფოტოზე) ტალინში ან გაფრინდება, ან არა — ესტონელმა ჩინოვნიკებმა ოდიკაძის პასპორტი განსაკუთრებულად აითვალწუნეს. გაურკვეველია „დინამოს“ ტალინში გაფრენის თარიღიც — 12 ივლისს დინამოელები ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ესტონეთის ჩემპიონ „ლევადიას“ უნდა ეთამაშონ, მაგრამ ესტონელმა მოხელეებმა ქართველებს ვინძლო ჩარტერული რეისის პილოტებიც დაუკავონ...

მეორე გვერდი

სამიდან სამი!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲨᲘ

ბულგარეთში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ტურში ძლეულ ისლანდიას საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ უქმეებზე ფინეთიც და ირლანდიაც მიაყოლა. ეს ნაკრებები ევროსაზომით დიდი ვერაფერი გაქანებისა არიან, მაგრამ მათი ცალი ხელით გაცამტვერებაც არ გახლავთ იოლი საქმე.

ქართველებმა გუშინ ირლანდიასაც იმავე იარაღით სძლიეს, რითაც წინა მატჩებში ისლანდიასა და ფინეთს. ნუგზარ კანდელაკის სამწყსო შესანიშნავად ისროდა როგორც შორი, ისე საშუალო დისტანციიდან — ორქულიანები 75-პროცენტიანი სიზუსტით მიითვალა და ისლანდიაც 24 ქულით განადგურდა.



მეთერთმეტე გვერდი

გუშინ დინამოელების ფოტო

პასპორტი

ესტონეთმა ქართველებს ვიზა დაუმალა

დავით ოდიკაძე, შესაძლოა, „დინამოს“ ესტონეთში ვერ გაჰყვეს

გაფრი ჯანელიძის ფოტო

მოსკოვში ესტონეთის საკონსულო თბილისის „დინამოსთვის“ ვიზების გაცემას რომ აფერხებს, ეს ამბავი უკვე გამცნეთ. დღეს ორშაბათია, ტალინში „ლევადიასთან“ მატჩი კი ხვალაა და ჯერჯერობით არც ერთ დინამოელს ესტონური ვიზა არ მიუღია. შესაბამისად, გუშინ საღამომდე გადაწყვეტილიც არ იყო, „დინამო“ ტალინს როდის გაემგზავრება. და თუ ესტონეთში წასვლა დროულად მოხერხდა, შესაძლოა, გუნდს დააკლდეს ერთ-ერთი ლიდერი დავით ოდიკაძე, ვის პასპორტშიც ესტონელებს მცირე ხარვეზები აღმოუჩენიათ და ვიზის გაცემისგან თავს იკავებენ. არადა, სწორედ იმ პასპორტით ოდიკაძე ახლახან გერმანია-შვეიცარიაში უპრობლემოდ იმყოფებოდა.

ოდიკაძის გარდა ესტონელებს არც ქართველი ჟურნალისტები და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პილოტები მოსდით თვალში. უპილოტოდ კი გუნდის გამგზავრება ხომ მთლად გამორიცხული საქმეა...

ვნახოთ, ესტონეთის საკონსულო ბოლო სიტყვას დღეს იტყვის.

ლუკა თალაკვაძე

დინამო პრსანიას ილომში აკვირდება

თბილისს „დინამომ“ ხუთი ახალი ფეხბურთელი ხომ დაიმატა და, რიგში კიდევ ერთია: „დინამოში“ ვარჯიშობს ბულგარეთის „ჩერნო მორედან“ შინ დაბრუნებული ნახევარმცველი კოტე დარსანია. ეს ინფორმაცია კლუბის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ დაგვიდასტურა და იქვე დასძინა, რომ დარსანიასთან კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, „დინამო“ ახლა მხოლოდ „ლევადიასთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებზე ფიქრობს.

რას გადაწყვეტს „დინამოს“ მწვრთნელი კახა ცხადაძე, ვერ გეტყვით, თუმც ამასწინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, გუნდი დაკომპლექტებული კი არის, მაგრამ სელექცია გრძელდება და „ლევადიასთან“ მატჩების შემდეგ, შესაძლოა, „დინამოში“ ახალი ფეხბურთელები კიდევ გამოჩნდნენო.

ვნახოთ, რას ეტყვის „დინამო“ კოტე დარსანიას, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და ბულგარეთში წასვლამდე ბოლნისის „სიონში“ იყო.

ლუკა თალაკვაძე

ჩალაძე სკონტოში მეოთხედ მივიდა

ქართველი თავდამსხმელი დავით ჩალაძე რიგის „სკონტოს“ მეოთხედ დაუბრუნდა. დათომ მიმდინარე სეზონი სწორედ „სკონტოში“ დაიწყო, თუმცა თვენახევრის წინ ჩინეთის ერთ-ერთ კლუბში წავიდა გასასინჯად, ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა და 29 წლის ქართველი ისევ თავის გუნდს დაუბრუნდა. ამრიგად, „სკონტოში“ ისევ ოთხი ჩვენებურია — ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან კორღალიძე და ჩალაძე.

დათომ გუშინ ლატვიის ჩემპიონატის მატჩში, სტუმრად „ვენტასთან“ (1:0) ითამაშა კიდეც, ოღონდ მხოლოდ მეორე ტაიმში.

ილია ნანოგაფშვილი

კოშკაძემ პასუხი იცოდა

მეჰასე მეგოლესთან

„ამერისა“ და სოხუმის „დინამოს“ გუშინდილანდელ ამხანაგურ მატჩს ტრიბუნიდან სხვებთან ერთად ექსტორპედოელი ალეკო კოშკაძეც ადევნებდა თვალს, საღამოს კი მას უკვე „ამერის“ ფორმა ეცვა და ახალ თანაგუნდელებთან ერთად ბაქოსკენ მიმავალ მატარებელში იჯდა.

ალეკო კოშკაძე 23 წლისაა, უმაღლეს ლიგაში კი ხუთი წელია თამაშობს. იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, წინა სეზონი ქუთაისის „ტორპედოში“ გაატარა, სეზონის ბოლოს კი თავისუფალ აგენტად იქცა



გაფრი ჯანელიძის ფოტო

— „ამერისგან“ შემოთავაზება რომ მივიღე, დიდხანს არ მიფიქრია, თუმცა გადაწყვეტილების მიღებამდე ჩემს მეგობარ სულიკო დავითაშვილს დავურეკე და რჩევა ვკითხე. გულახდილად გითხრათ, ვხვდებოდი, რასაც მეტყოდა, მაგრამ მის რჩევას ჩემთვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — გვითხრა ალეკომ თბილისის სადგურში, აზერბაიჯანში გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

— „აბრეზას“ გარდა, „მერანში“ თამაშისას რეზო ნაჭყეპიაც ჩემი თანაგუნდელი იყო, ბევრ ამერელთან ძველი მეგობრობაც მაკავშირებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ახალ გუნდთან შეგუება არ გამიჭირდება.

— „ამერის“ ორი თამაში მაქვს ნანახი. დღეს დილას სოხუმის „დინამოსთან“ და წინა სეზონის ბოლო ტურში „ბორჯომთან“. რაც ვნახე, იმათ ძალიან კმაყოფილი დავრჩი, მთავარია, რომ ეს ერთ მუშტად შეკრული გუნდია. „ტორპედოს“ ამბავს გავიხსენებ. იქ სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ შეკრული გუნდი ვიყავით, ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავედით. ჰოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ამერი“ შეკრული გუნდია და პირობებიც საუკეთესოა, დარწმუნებული ვარ, შედეგიც გვექნება.

ალეკო კოშკაძესთან საუბრის მერე კომენტარი სულიკო დავითაშვილსაც ვთხოვეთ: „ალეკოს მოსვლამ ძალიან გამახარა. ის ჩვენთვის დიდი ძალა იქნება. მისი პასებით უამრავი გოლი მაქვს გატანილი და, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრს გავიტან“.

ლუკა თალაკვაძე

სულიკო დავითაშვილმა ტესტური გოლები სოხუმელებსაც გაუტანა

გაფრი ჯანელიძის ფოტო

სოხუმმა ამერი გააცოლა

გუშინ საღამოს „ამერი“ თბილისი — ბაქოს მატარებლით აზერბაიჯანულ შეკრებაზე გაემგზავრა, იქამდე კი, დილას, ერთი ამხანაგური მატჩიც მოასწრო. „ამერის“ მეტოქე უმაღლეს ლიგაში პატრიოტული მოტივით ჩარიცხული სოხუმის „დინამო“ იყო. „ამერმა“ 3:2 მოიგო.

სოხუმელები საუმაღლესლიგოდ გამოცდილი ფეხბურთელებით კი გაძლიერდნენ, მაგრამ პირველი ტაიმი მთლიანად თბილისელებისა იყო. ამერელთა იერიშს იერიში მოჰყვებოდა, თუმცა ბოლო ფაზაში საგოლე დარტყმა არ გამოსდიოდათ. ასე თუ ისე, ცხადი იყო, რომ გოლი მწიფდებოდა.

ანგარიში 24-ე წუთზე „ამერის“ მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილმა გახსნა გუნდის ახალწვეულის, გიორგი კვახაძის უგრძელესი პასით. 14 წუთში კი დავითაშვილმა მეორეც შეაგდო — ამ ჯერზე გიორგი სილაგავას ასისტენტობით.

ტაიმი იწურებოდა, ბოლოსწინა წუთი იყო, როცა ამერელთა მორიგ ფლანგურ შეტევას ნიკა ნადირაძის მესამე გოლი მოჰყვა და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ტაიმის ბოლო წუთზე კიდევ რამე მოხდებოდა. მაგრამ ბოლო წამებზე სოხუმელთა სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა. ცოცხალ კედელს შემოვლებული ბურთი ამერელთა მეკარე ნადირაშვილმა უხერხულად მოიგერია, წინ დაუვარდა და ხაჩიძემ დამატებაზე საპასუხო შეაგდო. შევნიშნოთ, რომ ეს „დინამოს“ პირველი კარში დარტყმა იყო ამ მატჩში.

შესვენების მერე, საქმე მოთავებულად ჩათვალეს თუ საბაქოდ ჩანთების ჩალაგებაზე დაიწყეს ფიქრი, „ამერი“ ძნელად საცნობი იყო. თბილისელებს აღსანიშნავი ფაქტობრივად აღარაფერი გაუკეთებიათ, სოხუმელებმა კი რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს და 71-ე წუთზე ეგაძის კიდევ ერთ გოლს გამორჩნენ.

„შევარდენზე“ ჩატარებულ ამ მატჩში გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

ამერი: *ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, კვახაძე, დობროვოლსკი, ბერიანიძე, კაიდარაშვილი, ჩხეტიანი, სილაგავა, დეკანოსიძე, დავითაშვილი. შეცვლაზე ითამაშეს: გელაშვილი, გარუჩავა, ნადირაძე, ჩიმაკაძე, მჭედლიშვილი, ვარამიშვილი*

დინამო *(სოხუმი): ლაბაძე, უგრეხელიძე, ყვანია, სილაგაძე, ხაჩიძე, გუჩუა, ჯანგიძე, ჩომახიძე, ჭანტურია, შენგელია, ჩხაიძე. შეცვლაზე ითამაშეს: შამუგია, მალანია, მამფორია, ეგაძე, სეფიაშვილი, კახელაშვილი*

ვლადიკავკაზში ჩამიჩუმი შუმით დაინგრა
ქართული გოლი და ბოთლები

ვიტალი დარასელიას გოლში წვლილი ლადო ბურდულსაც მიუძღვის

რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე გასულ უქმეებზე ჩამთავრდა ერთობ საინტერესო მატჩებითაც — აქეთ მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“ მოსკოვის „სპარტაკი“ დაამარცხა, იქით მიხეილ აშვეთიას ჰქონდა დებიუტი „როსტოვში“, ხოლო ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ახალი მწვრთნელის, ცნობილი ებრაელი სპეციალისტის იცხაკ შუმის ხელმძღვანელობით პირველი მატჩი გამართა — ალანიელების მეტოქე უეფას თასის მფლობელი, თვისტომ ვალერი გაზაევის ცსკა გახლდათ და 1:1. ამ შეხვედრის შესახებ ვლადიკავკაზში „ალანიას“ მარჯვენაფლანგელ ლადო ბურდულს დავუკავშირდით

— პირველ ტაიმში მეტოქეს მაგრად ვაჯობეთ, ბურთი კარგად დავიჭირეთ და სახიფათო მომენტებიც შევქმენით. მეორე ტაიმში ცსკამ შემოგვიტია, მოსკოველები ფიზიკურად მართლაც ძლიერები არიან, მაგრამ მეორე ტაიმშიც საგოლე მომენტები ჩვენ გვქონდა — ორჯერ ძელს გავარტყით ბურთი.

— საგოლე კომბინაცია შენ წამოიწყე...

— მარჯვენა ფლანგზე ბაზაევს გადავაწოდე ბურთი, მან შუისკენ ჩააწოდა და როგორც კი ბურთი მიწაზე დაეშვა, ვიტალი დარასელიამ 16-17 მეტრიდან ცაციათი ცსკას კარის ცხრიანში გადაგზავნა ის — მაგარი გოლი იყო.

— დავით კვირკველია რატომ არ იყო „ალანიას“ სამატჩო განაცხადში?

— კუნთი აქვს დაჭიმული და გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვარჯიშობს, 3-4 დღე ალბათ კვლავ ინდივიდუალურად მოუწევს მსუბუქი ვარჯიში.

— ცსკასთან ფრით ალბათ კმაყოფილები ხართ...

— მატჩის არბიტრი უსამართლოდ გვექცეოდა, ყვითელი ბარათებიც ჩამოგვირიგა და კაცნაკლულიც დაგვტოვა, მეც სულ ტყუილად გამაფრთხილა. ცსკა ჩვენს საჯარიმო მოედანში ვერ აღწევდა, თორემ ვგრძნობდით, მსაჯი უეჭველად დანიშნავდა 11-მეტრიანს. ჩვენმა გულშემატკივარმა ეს ველარ მოითმინა და ტრიბუნებიდან ბოთლების სროლა დაიწყო, სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ მოედანზე მაყურებლების შემოჭრის საფრთხის ნიშნები აღმოვჩნდით. ჰოდა, „ალანიას“ ფეხბურთელებმა ტრიბუნასთან მივირბინეთ და გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოვუწოდეთ. შეხვედრამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, მატჩს დაახლოებით 30 ათასი კაცი დაესწრო.

— იცხაკ შუმის ხელმძღვანელობით პირველად ითამაშეთ — როგორია შთაბეჭდილებები?

— შუმი კარგი მწვრთნელი ჩანს, უყვარს შეტევა და ის, რომ გუნდი, ასე ვთქვათ, ბურთს აგორებს. ადრე მეტწილად 4-3-1 სქემით ვთამაშობდით, შუმმა კი ცსკასთან 3-5-2-ით გვათამაშა, ასეთი განლაგებით ცსკასთან თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ შუმმა მაინც ეს აირჩია. როცა ტუდორი გაგვიძევეს, შუმს მერეც არ შეუცვლია ტაქტიკა და ფორვარდი მცველით თუ ნახევარმცველით არ შეუცვლია. ვლადიკავკაზში დღესაც აყიოტაჟია, ცსკასთან მატჩმა გულშემატკივრებსაც ძალიან დიდი იმედი მისცა.

დავით თავართქილაძე

ლოკომოტივი ხელახალი ტრამპლინია
დავით სირაძემ გერმანია ფიქრში დაიტოვა

„ლოკომოტივმა“ თურქული შეკრება დაასრულა და ორი დღის წინ თბილისში დაბრუნდა. ნოდარ აკობიას გუნდმა ოსმალეთში ოთხი ტესტ-მატჩი გამართა, საიდანაც ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ორიც წააგო. რკინიგზელები ახლა „ლოკომოტივის“ ბაზაზე ვარჯიშობენ, ზეგ კი სომხურ „ბანანცს“ სტუმრობენ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში. დავით სირაძის დამატება მალამოსავით უნდა წაადგეს აკობიას გუნდს, რომელსაც სეზონის ბოლოს რამდენიმე ლიდერი გამოაკლდა. სირაძესთან თურქული შეკრების ამბავ-ხაბარს და ცოტა პირადულსაც შევეხეთ...

ბაჩო კბილაძის ფოტო

— კარგი შეკრება გამოვიდა, ეგაა, მგზავრობამ დაგვღალა და გვანერვიულა. საქართველოდან წასვლისას ავტობუსით აეარია მოგვიხდა. ისე, ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ. „ტირანა“ ალბანეთის ჩემპიონია, უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ მაინც მოვუგეთ.

— ორივე თურქულ კლუბთან კი დიდი ანგარიშით წააგეთ.

— ბევრჯერ შევცდით. ჩვენთვის შედეგი არ იყო მთავარი, ბევრი ახალწვეულია გუნდში და ეს მატჩები შეთამაშებისთვის გამოვიყენეთ.

— გერმანიიდან „ლოკომოტივში“ დაბრუნებამ გული ხომ არ გაგიტეხა?

— არა, ნორმალური, ახალგაზრდული გუნდი გვყავს. ალალად ვამბობ, ამ ბიჭებს ბევრი შეუძლიათ. ძალიან კარგი, პროფესიული მიდგომა დავინახე „ლოკომოტივში“. ეს ნოდარ აკობიას დიდი დამსახურებაა. ისე, მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა თავისუფლად შემეძლო, ხვიჩა შუბითიძის ყოფილი კლუბი აუე მიწვევდა — არც გასინჯვა და არც არაფერი, კონტრაქტზე ხელის მოწერაღა მრჩებოდა, მაგრამ თბილისში ჩამოსვლა ვარჩიე.

— შენ ადგილზე ბევრი გერმანიაში დარჩებოდა. მაინც რატომ დაბრუნდი „ლოკომოტივში“?

— გერმანიაში კავშირები არ გამიწყვეტია. „ლოკომოტივშიც“ ერთი წლით დავრჩი, თუმც ეგებ სულაც ექვს თვეში წავიდე. რაც უნდა იყოს, უეფას თასზე ვითამაშებ, ალენ ჟირესიც უფრო ხშირად დამაკვირდება. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი“ ჩემთვის ხელახალი ტრამპლინია.

— „ლოკომოტივში“ რა პოზიციაზე ითამაშებ?

— თურქულ შეკრებაზე ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი. გუნდს ამ ადგილზე ვჭირდებოდი, თუმცა შესაძლოა, წინ გადავიწიო. ვნახოთ, უზბეკი ინოგოვი შემოგვიერთდა და...

— „ბანანცის“ თამაშის ფირს ნახავდით. რამდენად სერიოზული მეტოქეა?

— ერთი თამაში ვნახეთ, ახლა მეორესაც ველოდებით. ცუდი გუნდი არ ჩანს, ნორმალურად, აწყობილად თამაშობენ, თუმცა „ლოკომოტივმა“ ეს ეტაპი აქტიურად უნდა გაიაროს. ისიც ჩვენი პლუსია, პირველ თამაშს სტუმრად რომ ვთამაშობთ.

ილია ნანოგაჯვილი

რამონი უეფაზე თიაქარმა არ გაუშვა

ბაჩო კბილაძის ფოტო

თბილისის „ლოკომოტივს“ ბრაზილიელი რამონი სამი თვით გამოაკლდა. რკინიგზელთა ფორვარდი გუნდს თურქულ შეკრებაზე არ ჩაჰყოლია, მან რამდენიმე დღის წინ თიაქრის ოპერაცია გაიკეთა. ამრიგად, „ბანანცთან“ შეხვედრაში ნოდარ აკობიას არც ერთი ბრაზილიელი არ ეყოლება — ჟეანი ხომ სეზონის დასრულებისთანავე გაუშვეს გუნდიდან.

პირველ საუეფასთასო მატჩამდე „ლოკომოტივში“ ცვლილებებს არ ელიან. აკობიამ ისიც გვიჩვენა, ახალი სეზონისთვის გუნდი უკვე დაკომპლექტებულია და არა მგონია, ახლები შევიძინოთო.

ლუკა თალაკვაძე



ბურაგი დოლიძეების ფოტო

გიორგი დევდარიანი

ისევ დევდარიანი, ისევ ახალგაზრდობა

„თბილისს“ კვლავ გიორგი დევდარიანი გაწვრთნის — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კლუბის ხელმძღვანელობამ, რომელიც მანამდე გუნდში იოჰან ბოსკამპის მოწვევას აპირებდა.

დევდარიანი „თბილისს“ პირველად შარშანწინ ჩაუდგა სათავეში, გუნდის იერსახე შეცვალა და ერთ-ერთ თვალსაჩინო კოლექტივად აქცია. სწორედ დევდარიანის ხელში დაწინაურდნენ გოჩა ხოჯავა, ზაალ ელიავა, გიორგი ნუგზარის და ნოდარის ძე ჭელიძეები, გოგიტა გოგუა... თუმცა გასული სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს მისი და „თბილისის“ გზები გაიყარა.

მოკლედ, დევდარიანს ახალგაზრდა ფეხბურთელებთან წარმატებით მუშაობის გამოცდილება აქვს და ახლანდელი „თბილისიც“ აქცენტს ფაქტობრივად დამწყებ ფეხბურთელებზე აკეთებს.

— „თბილისის“ მიზანი ამ სეზონში უმაღლესი ლიგიდან არგავარდნა იქნება, რადგან ჩვენს რესურსს 1987-88 წლებში დაბადებული ფეხბურთელები წარმოადგენენ. ერთი სიტყვით, საქმეს თავიდან ვიწყებთ, ჩემი თანაშემწეები თემურ ფოცხვერია და ივანე ლუცენკო იქნებიან. გუნდი ახლა დაკომპლექტების პროცესშია და სეზონისწინა მზადების პირველ საკონტროლო მატჩს. ალბათ კვირის ბოლოს ვითამაშებთ — გვითხრა დევდარიანმა.

დავით თავართქილაძე

რეჟიმი რეჟიმში

სალუქვაძემ შანსი დაიჭირა

წინა სეზონის ზამთრის შესვენებისას თბილისის „დინამოდან“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაშვებას დიდი ხმაური მოჰყვა. ლადო ახალაია „ციურიხში“ გადაბარგდა, ლადო ბურდული, დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი და ჯაბა კანკავა ვლადიკავკაზის „ალანიაში“ წავიდნენ, ცენტრალურმა მცველმა ლაშა სალუქვაძემ კი მოულოდნელად ყაზანის „რუბინს“ მიაშურა. მიაშურა და რუსეთის ჩემპიონატის საწყის რამდენიმე მატჩში ახალი გუნდის სათადარიგოთა შორისაც არ ჩანდა. ითქვა, ლაშა სალუქვაძე „რუბინის“ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო, თუმც მალე ისე ათამაშდა, გუნდისთვის შეუცვლელი გახდა და ახლა პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველადაც ითვლება



ვადრე ჯუღელაძის ფოტო

— **„რუბინს“** მაშინ შევუერთდი, როცა გუნდს სამი მოსამზადებელი ეტაპი გავლილი ჰქონდა და ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირა იყო დარჩენილი — გვითხრა ლაშა სალუქვაძემ, რომელსაც ყაზანში დავუკავშირდით — არც გამკვირვებია, რომ თავიდან რამდენიმე მატჩი გამოვტოვე, თუმცა მწვრთნელის, ყურბან ბერდიევის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი. ერთხელაც მან თავისთან დამიბარა და მითხრა, შემდეგი მატჩისთვის მოემზადე, დაამტკიცე, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებო. ვითამაშე და მას შემდეგ ძირითადში ვარ. შანსი მომცეს და გამოვიყენე.

— „რუბინშიც“ ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობ?

— როგორც მწვრთნელი გადაწყვეტს. ბერდიევი ხან ტაქტიკას ცვლის, ხან ფეხბურთელებს და ამის შესაბამისად ან ცენტრალურ მცველად მათამაშებს, ან მარჯვნიდან. რა თქმა უნდა, ბოლო თამაში მირჩევნია, მიჩვეული ვარ, მაგრამ გუნდს რომელ პოზიციაზეც ვჭირდები, იქ ვთამაშობ.

— რუსეთის ჩემპიონატში ის დონე დაგხვდა, რასაც ელოდი?

— ალბათ, უფრო მაღალი. რუსულ ფეხბურთში ძალიან დიდი ფული ტრიალებს და ბევრი უცხოელი თამაშობს. თან უცხოელსაც ხომ გააჩნია, თითქმის ყველა ლეგიონერი თავისი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელია. ახლა პრემიერლიგაში ისეთი გუნდი არ არის, ვისთანაც წინასწარ, მოგებას ვინ ჩივის, ქულას დაგეგმავ. რუსეთში ფეხბურთელები ჩამოჰყავთ, საქართველოდან კი უშვებენ, ანუ აქ უკეთესი პირობებია. აი, ესაა რუსეთისა და საქართველოს ჩემპიონატებს შორის სხვაობა, თორემ რუსები ფეხბურთის თამაშის ნიჭით ქართველებს ვერ შეედრებიან.

— ახლა უკვე „რუბინის“ ძირითადის ფეხბურთელი კი ხარ, მაგრამ_ არ გიჭირს, შენთვის ხომ „რუბინი“ პირველი უცხოური გუნდი?

— თავიდან გამიჭირდა და ვერც ახლა ვიტყვი, რომ არ გიჭირს, მაგრამ სტაბილურად ვთამაშობ და მწვრთნელი კმაყოფილია. „რუბინი“ კი მესამე ადგილზეა. მთავარია, რეჟიმი დაიცვა და სხვას ყველაფერს მოევლება.

— „რუბინში“ ბევრია რეჟიმის დამრღვევი?

— „რუბინში“ კი არა, ყველა გუნდშია ისეთი ფეხბურთელი, ვინც ურეჟიმოდ ცხოვრობს. ისე კი, თამაშის შემდეგ ფეხბურთელები თავისუფლები ვართ და ვერთობით. სხვა მხრივ, „რუბინში“ რეჟიმს ძალიან მკაცრად იცავენ. აქ ბევრი პროფესიონალია.

— ითქვა, რომ ყაზანში ფეხბურთზე მეტად ჰოკეი უყვართ... ასეა?

— ჰოკეიც უყვართ და ფეხბურთიც, ქალაქის მერი სპორტს დიდ ყურადღებას აქცევს. ჩვენი თამაშებისას სტადიონი ყოველთვის სავსეა, ჰოკეის დარბაზში კი არ ვიცი, რა ხდება.

— ჰოკეის მატჩებს არ ესწრები?

— ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხე. რამდენჯერმე კი დამპატიჟეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ წავედი. არადა, ძალიან მაინტერესებს.

— „რუბინმა“ ჩემპიონატი საკმაოდ ამბიციურად დაიწყო და რა გეგმები გაქვთ?

— კლუბის პრეზიდენტის მოთხოვნაა, რომ „რუბინმა“ უეფას თასის საგზური მოიპოვოს. რა ვიცი, ჯერჯერობით საქმე კარგადაა. კარგი ფეხბურთელები გვყავს. მწვრთნელიც საკმაოდ მცოდნე და გამოცდილია. ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი არ გაქვთ?

— „ლოკომოტივს“ და ცეესკას ჩემპიონთა ლიგის საგზურებს ვერავინ შეეცილება. ეს გუნდები რუსეთში გამორჩეულები არიან. „რუბინი“, „ზენიტი“, „სპარტაკი“ და კიდევ რამდენიმე გუნდი კი მეტნაკლებად ერთ დონეზეა.

— „რუბინის“ ლიდერად ვინ ითვლება?

— ყველას თავისი აზრი აქვს, თავად კი არგენტინელი დომინგესი მიმაჩნია „რუბინის“ საუკეთესო ფეხბურთელად. ახალგაზარდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონია. გუნდის თამაში მასზეა აწყობილი.

— გავიგეთ, რომ „რუბინში“ გოჩა ხოჯავა ვარჯიშობს. დარჩება ის თქვენთან?

— არ ვიცი, ღღესდღეობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ისე კი, გოჩამ ჩვენთან რამდენჯერმე მართლაც ივარჯიშა და მწვრთნელებს თავი მოაწონა.

ძოგა ინასარიძე

ამისულაშვილი პასუხებს ელის

საჭარაუდო მხოლოდ კიევური მეთოფეა

გეხსომებათ, კიევის „დინამომ“ ალეკო ამისულაშვილი რომ შეიძინა, ბევრმა მას კახა კალაძის დარი კარიერა უწინასწარმეტყველა, თუმცა პროგნოზი ჩაფლავდა — ამისულაშვილმა ერთი წლის განმავლობაში თითებზე ჩამოსათვლელ მატჩებში ითამაშა კიეველთა მთავარ გუნდში, ვერც დუბლებში გამოირჩეოდა და უკრაინულმა გრანდმაც ჩვენიანი დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ათხოვა 6 თვით.

„დნიპროში“ ალეკოს უარესად წაუვიდა საქმე და კიევში დაბრუნების დროც დაუდგა. 23 წლის მცველი ამჟამად უკრაინის დედაქალაქშია და ახალი კლუბის ვარიანტებს სინჯავს.

— კიევის „დინამოში“ დარჩენა გამორიცხულია. ამ გუნდზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ არ მათამაშებენ და ტყუილუბრალოდ უნდა გავწვალდე. ახლა სწორედ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ის კი ვიცი, რომ ისევ უკრაინულ ან რუსულ გუნდში გადავალ. რეალური წინადადება მხოლოდ კიევის „არსენალისგან“ მქონდა და ვნახოთ, ამ ვარიანტზე ისევ ვფიქრობ. ხარკოვის „მეტალისტი“ არ შემხმიანებია — გვითხრა ამისულაშვილმა.

სავარაუდოდ, კიეველები ქართველ მცველში დიდ თანხას არ მოითხოვენ. ალეკო ამბობს, ფულზე ლაპარაკი არ გვქონია, ახლა მხოლოდ მსურველი კლუბების პასუხები მაინტერესებს, მანამდე კი „დინამო 2“-ში ვვარჯიშობ, ფორმა უნდა შევინარჩუნოო. ამისულაშვილს „დნიპროში“ უთამაშებლობის მიზეზებზეც დავეკითხეთ, მაგრამ გვიპასუხა, თამაშს ვინ ჩივის, განაცხადშიც არ მახვედრებდნენ და მაგ პერიოდის გახსენებაც ნერვებს მიშლისო.

ბაბური ჯუღელაძის ფოტო

ილია ნანობაჯვილი

ლევადიას სალიგო 23

ტალინური „ლევადიას“ თავკაცმა ტარმო რუუტლიმ საჩემპიონთალიგო 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. თბილისის „დინამოს“ მეტოქის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი მცველი ხოხლოვ-სიმსონია, რომელიც გუნდის კაპიტანიც გახლავთ. ისე კი, „ლევადიას“ 7 ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც 20 წელი არ შესრულებიათ:

მეკარეები: არტურ კოტენკო (23 წლის), ალექსანდრ დიაჩენკო (24), ილია სალასინი (17)

მცველები: ანდრეი კალიმულინი (27), ვიტოლდას ჩეპაუსკასი (26, ლიტვა), ტაავი ტამო (21), ტიხონ შიშოვი (22), ალექსეი დემუცკი (20), სერგეი ხოხლოვ-სიმსონი (33)

ნახევარმცველები: ვიტალი ლეიტანი (26), კონსტანტინ ვასილიევი (20), კონსტანტინ ნაჰკი (30), ალექსანდრ დმიტრიევი (23), სიქსტენ კაზიმირი (24), სანდერ პური (17), მირონლავ რიშკევიჩი (19), მარიუს დოვიდენასი (26, ლიტვა), ეინო პური (17)

თავდამსხმელები: ანდრეკ ზელინსკი (30), ანდრეი შადრინი (18), ტაიო ტენისტე (17), ატს პური (19), ალექსანდრ რულკოვი (18)

ჯილარდინომ ტომასონი აარჩია

დღეს პარმელი მილანთან კონტრაქტს გააფორმებს

ალბერტო ჯილარდინოს „მილანში“ გადასვლა-არგადასვლის ამბავი უკვე დიდი ხანია, „საპნის ოპერას“ დაემსგავსა, მაგრამ ამ ტრანსფერს დღეს საბოლოოდ და ოფიციალურად დაადგება საშველი. თუმც აჯობებს, ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ

ალბერტო ჯილარდინო „მილანს“ ხუთწლიან კონტრაქტზე მოუწერს ხელს

რამდენიმე დღის წინ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, ჯილარდინოს შეძენა გვინდა, მაგრამ „პარმა“ ძალიან ბევრს ითხოვს და ამიტომ ჩვენ გუნდში ცვლილებებს ნუ დაელოდებით. ამაზე „ენიო ტარდინის“ ბინადართა პასუხმაც არ დააყოვნა — 22 მილიონი გირვანქა ჩვენი ბოლო ფასიაო. შემდეგ თავად ფეხბურთელმაც ამოიღო ხმა, „მილანში“ გადასვლა მინდა და იმედია, ყველაფერი მალე დამთავრდება. „პარმას“ ვთხოვ, ხელი შემიწყოსო.

ამის მერე ალბერტო ჯილარდინომ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე გამოითქვას — „მილანი“ ან არაფერი: „პარმასთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე მაკავშირებს და მზად ვარ, ამას პატივი ვცე. კლუბი ყოველთვის კარგად მექცეოდა და ახლაც ითვალისწინებს ჩემს პოზიციას. თავიდანვე ვთქვი, რომ „მილანში“ გადასვლა მინდა და ახლა მათ საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდები. ასე რომ, ორი ვარიანტი მაქვს — ან „მილანში“ გადავალ, ან „პარმაში“ დავრჩები“.

ამ განცხადებამ 23 წლის ფორვარდის სხვა მსურველების — „იუვენტუსის“, „ინტერისა“ და „ჩელსის“ — შანსები, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლა.

„მეტს ვერაფერს დავამატებ. შეთანხმების მიღწევისგან ჯერ ისევ შორს ვართ. ალბათ კიდევ ერთხელ დავსხდებით და ამ ტრანსფერზე ვილაპარაკებთ. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“ — ეს კი ჯილარდინოს ერთ-ერთი აგენტის, ფრანჩესკო რომანოს სიტყვებია.

ახლა იტალიური პრესა ირწმუნება, რომ ყველაფერი დამთავრდა — შეგვიძლია, ალბერტო ჯილარდინო „მილანის“ ფეხბურთელად ჩავთვალოთო. გავრცელებული ცნობით, დღეს იგი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მხარეები ოფიციალურად გააფორმებენ ტანსფერს. „პარმა“ დაახლოებით 29 მილიონ ევროს მიიღებს ანუ იმაზე ერთი მილიონით ნაკლებს, რასაც აქამდე ითხოვდა. აქედან 2 მილიონი ავანსად, თავად 23 წლის ფორვარდს გადაეცემა, ხოლო „მილანისა“ და ჯილარდინოს კონტრაქტი სავარაუდოდ, ხუთწლიანი იქნება. ახალგაზრდა ვარსკვლავის ხელფასი სეზონში 3 მილიონ ევროს გაუტოლდება.

თუ ჯილარდინოს უკვე „მილანის“ მოთამაშედ ჩავთვლით, კარლო ანჩელოტის განკარგულებაში მის გარდა კიდევ ოთხი ფორვარდია — ანდრეა შევჩენკო, კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი. როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელის გუნდიდან წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

დანიელი თავდამსხმელის, შეძენასთან ყველაზე ახლოს ლისაბონის „ბენფიკა“, [illegible] ყოფილმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაინტერესა, თუმცა, ახლა დონ ტრაპი „შტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელია და თავადაც ცდილობს სკანდინავიელის ხელში ჩაგდებას.

„ბენფიკასა“ და „შტუტგარტის“ გარდა, ტომასონის ყიდვა გენუის „სამპდორიასაც“ სურს. საბოლოო არჩევანს ალბათ თავად ფეხბურთელი გააკეთებს.

„მილანის“ ხელმძღვანელობამ კი თითქმის ბოლომდე აისრულა საწადელი და მომავალი სეზონის დაწყებამდე კლუბი საკმაოდ გააძლიერა. ახლა „შავ-წითლები“ მხოლოდ კაფუს შესაძლო შემცვლელს ეძებენ. ამ პოზიციაზე სამი კანდიდატურა განიხილება — რეჯინალდი ჯანდომენიკო მესტო, ლაციოელი მასიმო ოდო და ლეჩელი მარკო კასეტი.

ბოლოს ვთქვათ ისიც, რომ „როსონერის“ დატოვებს ჯუზეპე პანკარო, იგი სავარაუდოდ „მესინაში“ გადაბარგდება. მხარეებს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია. მას შემდეგ, რაც „მილანმა“ მარეკ იანკულოვსკი იყიდა და კახა კალაძესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, 34 წლის ვეტერანს წასვლის გარდა აღარაფერი დარჩენია.

გიორგი კაკაბაძე





პატრიკ ვიეირა ლუჩანო მოჯის გუნდში არ გადავა

ᲘᲔᲑᲛᲐ ტᲝᲜᲘ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲡ

სერია A-ს ბოლო ორ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ლუკა ტონი სავარაუდოდ, „ფიორენტინას“ მაისურას მოირგებს. ფლორენციელებს შეტევის გაძლიერება სურთ და „პალერმოს“ თავდამსხმელი მათ სამიზნეთა შორისაა

ლუკა ტონი კარიერას „ფიორენტინაში“ გააგრძელებს

„მე შევხვდი სიცილიური კლუბის უფროსობას, რათა საბოლოოდ შევთანხმებულიყავით და ახლა პასუხს ველოდები. ჩვენ ტონიში 7,5 მილიონ გირვანქაზე მეტს ვერ დავხარჯავთ. თუ „პალერმო“ თანახმა იქნება, ფეხბურთელთან მოლაპარაკებას დავიწყებთ“ — განმარტა „ფიორენტინას“ სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

გავრცელებული ცნობით „პალერმო“ 8,5 მილიონ გირვანქას ითხოვს. სიცილიელებმა თავიანთი საუკეთესო ბომბარდირის გაყიდვა ბრეშელი ანდრეა კარაჩოლოს ყიდვის შემდეგ გადაწყვიტეს. გარდა ამისა, მათ „ატალანტას“ პერსპექტიული ნიგერიელი ფორვარდის, სტეფან მაკინვას შეძენაც უნდათ.

„ბერგამოელებს ამ კვირაში შევხვდებით და სტეფანის მომავალზე ვისაუბრებთ. სად ითამაშებს იგი, სწორედ „ატალანტას“ გადასაწყვეტია. ჩვენ წინადადება „ინტერის“, „პალერმოსა“ და „შტუტგარტისგან“ მივიღეთ“ — თქვა მაკინვას აგენტმა სილვანო მარტინამ.

ახლა ისევ „ფიორენტინას“ დავუბრუნდეთ და „იების“ სხვა გეგმებზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, მათ თავდასხმასთან ერთად სხვა რგოლების გაძლიერებაც უნდათ და კვლავ ახალ ფეხბურთელებს ეძებენ. ფლორენციელები ამჟამად ენდი ვან დერ მეიდესა და დანიელე ბონერას უტრიალებენ.

„ინტერის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი „მონაკოში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ამ ტრანსფერს სავარაუდოდ, განხორციელება არ უწერია. თავად ვან დერ მეიდეს კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო მისი აგენტის თქმით, კლუბებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და რამდენიმე დეტალი უკვე შეთანხმებულიცაა.

რაც შეეხება ბონერას, „პარმას“ მისი გაყიდვა აქვს გადაწყვეტილი და, ცხადია, ამის გაკეთებას მაქსიმალურად სარფიანად აპირებს. თავდაპირველად „იებმა“ მისი არენდის წესით დამატება ისურვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ამჟამად „ენიო ტარდინის“ ბინადრებთან ფეხბურთელის ფასს ათანხმებენ.

დანიელე ბონერა: „მეც ჩვეულებრივად ახალ ამბებს ვუკვლი, თუმცა ამ ყველაფერს, ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება. იქამდე „პარმასთან“ ერთად ვარჯიში განვახლე. ახლა ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენია“.

გიორგი კაკაბაძე

ᲝᲣᲕᲔᲡ ᲕᲘᲔᲘᲠᲐ ᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐ

ტურინს „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ მორიგი განცხადება გააკეთა და გასულ კვირაში თავის ლონდონურ ვოიაჟზეც ისაუბრა.

„ლონდონში სხვა ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად ვიყავი, ვიეირა არაფერ შუაშია. მასთან მოლაპარაკება არასდროს გვქონია. „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერს კი მართლაც შევხვდი, მაგრამ არა ტრანსფერებზე სასაუბროდ. იგი ჩემი მეგობარია“ — განაცხადა მოჯიმ.

იტალიური პრესა კი მიიჩნევს, რომ „ბებერი ქალბატონის“ „ტრანსფერების გურუს“ ეს სიტყვები „მეთოფეთა“ მიერ დასახელებული დიდი თანხით ან თავად ვიეირას უარით არის განპირობებული. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფრანგს აქამდე არაერთხელ უთქვამს, თუ „არსენალს“ დავტოვებ, კარიერის აპენინებზე გაგრძელება არ მხიბლავსო.

ლუჩანო მოჯიმ „ჩელსისთან“ კონტაქტიც უარყო და დავიდ ტრეზეგეს გუნდიდან წასვლა კიდევ ერთხელ გამორიცხა: „ჩელსის“ ჩვენთვის არასოდეს მოუმართავს. პრესაში გავრცელებული ცნობები 37 მილიონ გირვანქაზე უბრალო ჭორია. კიდევ ერთხელ ვამბობ — ტრეზეგე არ იყიდება. დავიდ 28 წლისაა და სრულებით გვაკმაყოფილებს. წამყვანი ფეხბურთელების გაშვება არ გვჩვევია. მაგალითად, ზიდანი „რეალს“ მივყიდეთ, მაგრამ იგი უკვე 30 წლის იყო“.

გიორგი კაკაბაძე

რობერტ კარლოსი: „ბრაზილიელი, მარცხენა მცველი, ... ესპანეთში დაბრუნდა“

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა შვებულება დასრულდა და გუნდი შეკრებაზე ლას-როსაში მიემგზავრება.

გასულ სეზონში ხელმოცარული „სამეფო კლუბის“ ბრაზილიელი, მარცხენა მცველი რობერტო კარლოსი სამშობლოდან ესპანეთში დაბრუნდა. მადრიდში ჩასულ ფეხბურთელს AS-მა ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც რობერტო კარლოსმა სეზონისწინა ამბებზე, გუნდის ახალწვეულებზე და არდადეგებზე ისაუბრა



რობერტო კარლოსს „რეალში“ კონკურენტი არ ჰყავს

— როგორ დაისვენეთ?

— შვილებთან ერთად შინ ვიყავი და მშვიდ გარემოში ძალიან კარგად დავისვენე. ხანდახან ფეხბურთსაც ვთამაშობდი, რათა ფორმა შემენარჩუნებინა, მაგრამ კვების განსაკუთრებული რეჟიმი არ მქონია.

— შვებულებისას გაგიკურდეს...

— მაშინ ძალიან გავბრაზდი, განერვიულდი და მარკუს ტეშეირას („რეალის“ მეორე მწვრთნელი) ქორწილშიც კი არ წავედი.

— მძიმე სეზონის შემდეგ ალბათ ძალიან გადაღლილი იყავით...

— ნამდვილად ასეა. თავიდანვე გაგვიჭირდა, რადგან მწვრთნელი ორჯერ შეგვიცვალეს და კლუბში ბევრი უცნაური რამ ხდებოდა. ამ ცვლილებებმა ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა ფეხბურთელებზე, ამიტომ კარგი დასვენება და ძალების აღდგენა გვჭირდებოდა.

— „რეალის“ ახალწვეულებზე თუ იცით რამე...

— თითქმის ყოველდღე ვრეკავდი ესპანეთში და ახალ ამბებს ვიგებდი, მაგრამ პაბლო გარსიასა და კარლოს დიოგოს შეძენის შემდეგ (ივნისის ბოლოს) მგონი, აღარავინ უყიდიათ.

— „რეალში“ ბრაზილიელები მომრავლდნენ. ლუშემბურგო თავისი სამწვრთნელო შტაბით, რობერტო კარლოსი, რონალდო, ახლა, ალბათ რობინიოსაც დაიმატებთ...

— მართალია, მაგრამ კლუბს ევროპელი ფეხბურთელებიც სჭირდება. აუცილებელია, ახალი მოთამაშეები შევიძინოთ, რათა კვლავ პირველები გავხდეთ. პრიმერადივიზიონი და ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ.

— ბრაზილიური მედია „სანტოსის“ მცველ რიკარდინიოს „რეალში“ გადასვლაზეც საუბრობს...

— მას ძალიან კარგად ვიცნობ და ვთვლი, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. რიკარდინიოს გადმობირება ვანდერლეი ლუშემბურგოს სურს. იგი „სანტოსის“ კაპიტანი და ლიდერია.

— „რეალი“ რობინიოს შეძენას შეძლებს?

— ამის თაობაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს ფანტასტიკური ფეხბურთელი ჩვენთან ყოფილიყო, მაგრამ „სანტოსი“ დიდძალ ფულს ითხოვს და არ ვიცი, ეს ამბავი როგორ დასრულდება. რობინიოს რამდენჯერმე ვესაუბრე და მისი ჩახლართული კონტრაქტისა ვერაფერი გავიგე. იმასაც კი მაბრალებდნენ, რომ „სანტოსის“ მეგოლეს თითქოს მე შევუჩნდი, „რეალში“ გადმოდი-მეთქი, რაც სისულელეა. რობინიოს რობერტო კარლოსი კი არა, მადრიდის „რეალი“ ყიდულობს.

— ამასწინათ რობინიო ამტკიცებდა, „რეალში“ ჩემს გადასვლას რამდენიმე საათი უკლიაო...

— ჩვენ გუნდში თამაში ძალიან ბევრი ფეხბურთელის ოცნებაა და ეს ნაჩქარევი მისი განცხადება სასურველის რეალობად გასაღების სურვილი იყო. მთავარია, რომ ყველამ იცის — რობინიოს მადრიდის „რეალში“ უნდა.

— „სამეფო კლუბი“ ახალ ფეხბურთელებს ყიდულობს, მაგრამ თქვენს პოზიციაზე — არავის. რატომ?

— თუ არ დავშავდი, მომავალი სეზონის ყველა მატჩში ვითამაშებ. ჩემი შემცვლელის არყოფნა პრობლემებს არ შექმნის. შარშან რაულ ბრავო იყო, ახლა კი არავინაა. 32 წლის ვარ, მაგრამ ჯერ ჯანღონე არ მაკლია. ვეცდები არც ერთი სანაკრებო და საკლუბო შეხვედრა არ გამოვტოვო.

— „რეალის“ ახალწვეული კარლოს დიოგო ცენტრალური მცველია, მაგრამ მარცხნივ თამაშიც შეუძლია. ასე რომ, ზოგჯერ ეგებ დაგასვენოს კიდეც...

— მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუთმობ, თუ ტრავმირებული ვიქნები.

— ამბობენ, რომ ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალში“ დიდხანს არ დატოვებენ...

— ცდება, ვინც ასე ფიქრობს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. გასული სეზონის მეორე წრე „რეალმა“ ბრწყინვალედ ჩაატარა. კამაჩოს ადგილას თავიდანვე ლუშემბურგო რომ ყოფილიყო, უკეთეს შედეგებს მივაღწევდით.

— რომელი ფეხბურთელების შეძენას ურჩევდით კლუბის პატრონს?

— ამ საქმეში მე ვერ ჩავერევი. ფლორენტინო პერესმა, ემილიო ბუტრაგენიომ და არიგო საკიმ ჩემზე უკეთ იციან, გუნდს ვინ სჭირდება.

— უკვე ორი წელია, „რეალს“ არაფერი მოუგია...

— ამ სეზონში უფლება აღარ გვაქვს, ხელცარიელნი დავრჩეთ. მადრიდის „რეალის“ დონის კლუბისთვის ორი წელი ჯილდოს გარეშე ძალიან ბევრია, რაც ფეხბურთელებს კარგად ესმით.

— ესპანურ პასპორტს როდის აიღებთ?

— ალბათ ამ თვეში, ან ოდნავ მოგვიანებთ, როცა აზიურ-ამერიკული ტურნედან დავბრუნდებით. ცხრა წელია, ესპანეთში ვცხოვრობ და ორმაგი მოქალაქეობა ურიგო არ იქნება. ჩემს შემდეგ, რიგში რონალდო დგას.

ვანდერლეი ლუშემბურგოს განცხადება დევიდ ბეკჰემს არ ეხება

რეალის მაყურებელი ლუშემბურგოს წესები

მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ ფეხბურთელებს უთხრა, ვინც ფიქრობს, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, შეუძლია, აიბარგოსო. ეს განცხადება პირველ რიგში ლუიშ ფიგუსა და ხოსე მარია გუტის ეხებათ, რომლებიც გუნდში ბრაზილიელის მისვლის შემდეგ სათადარიგოთა სკამს ხეხავენ. ორივე ფეხბურთელმა მედიასთან არაერთხელ დაიწუწუნა ამის გამო, რამაც ლუშემბურგო, ცხადია, გაანაწყენა.

მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა მწვრთნელმა „რეალი“ გასული სეზონის მეორე წრის დასაწყისში ჩაიბარა და თავის წეს-კანონების დამკვიდრება სრულად ვერ მოასწრო, ახლა კი, ახალი სეზონის წინ, გუნდს ლაგამი ამოსდო.

რობინიოს შეძენის შემთხვევაში, მადრიდიდან ინგლისელი მაიკლ ოუენის წასვლაც არა გამორიცხული, თუმც ლუშემბურგომ აღნიშნა: „ოუენი და ფიგუ „რეალის“ ფეხბურთელები არიან. ითამაშებენ თუ არა ისინი ძირითად შემადგენლობაში, ეს უკვე სხვა საქმეა. ვინც კლუბის წესებს არ დაემორჩილება, წავიდეს“.

სხვა კი ისაა, რომ „ნიუკასლიდან“ „რეალში“ შარშან გადასული ჯონათან ვუდგეიტი საბოლოოდ გამოკეთდა და სეზონისწინა შეკრებაზე ვარჯიშს შეუდგა. აქამდე ტრავმირებულ ვუდგეიტს „სამეფო კლუბის“ მაისურით ჯერ ერთი მატჩიც არ უთამაშია.

ვაჟა ხუციშვილი

მილანის „ინტერი“ „რეალთან“ ვალტერ სამუელის ტრანსფერზე მოლაპარაკებას განაგრძობს. მართალია, შეთანხმების მიღწევა ორივე კლუბს სურს, მაგრამ საერთო ენის გამონახვა ჯერჯერობით არ ხერხდება. მიზეზი ფულია, „ნეროაძურის“ აზრით, მადრიდელები ძალიან ბევრს ითხოვენ, განათხოვრებაზე კი უარს აცხადებენ. კიდევ ერთი ბარიერი არგენტინელის მაღალი ხელფასია

მოთმინებით შვინით ინტერი სამუელს ელოდება



ვალტერ სამუელი

„მოთმინებაა საჭირო, მოლაპარაკება გრძელდება. „ინტერი“ ძალიან დაინტერესებულია და ჩვენ მილანელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. იმედია, შეთანხმებას შეძლებთ“ — აღნიშნა „რეალის“ ერთ-ერთმა ემისარმა ერნესტო ბრონძეტიმ.

პარალელურად, „შავ-ლურჯებმა“ „ფლამენგოს“ ყოფილი კარის დარაჯი ჟულიო სეზარი დაიმატეს. 26 წლის ბრაზილიელმა ბოლო ექვსი თვე „კიევოში“ გაატარა და ყურადღებაც იქ მიიქცია. იგი „სან სიროზე“ 2008 წლამდე დარჩება.

„ინტერის“ ყოფილი მეკარე ალბერტო ფონტანა კი სწორედ „კიევოში“ გადაბარგდა. 38 წლის გოლკიპერმა ვერონელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

საბოლოოდ გადაწყდა ფრანგი ნახევარმცველის, საბრი ლამუშის გუნდიდან წასვლის საკითხი. იგი უახლოეს დღეებში „მარსელოთან“ ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

საბრი ლამუში: „ინტერში“ დარჩენის საფუძველს ველარ ვხედავდი და წასვლა გადავწყვიტე. „ჯენოაც“ მეატიჟებოდა და დიდი მადლობა მათ ამისთვის, გენუელთა უფროსობას უკვე ვესაუბრე, მაგრამ მირჩევნია, სამშობლოში დავბრუნდე“.

გიორგი კაკაბაძე

იწყება, რათა არ დამთავრდეს

„ლივერპულის“ ფანტასტიკური ტრიუმფის განცდა ჯერ არათუ „ენფილდზე“, ბოლომდე მთელ ევროპაშიც კი არ განელებულა, რომ კარს ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშება მოგვადგა — ოთხშაბათს ბებერი კონტინენტის სტადიონებზე კვლავ გაგორდება ბურთი

49 დღის წინ „ლივერპულმა“ „მილანს“ დაუვიწყარი ფინალი მოუგო

ახალი შეჯიბრების პირველი დღე თავად „ლივერპულსაც“ სტამბოლის მოვლენებიდან 49 დღის თავზე უწევს — მოგეხსენებათ, „წითლები“ ინგლისის პირველობაზე ოთხეულში ვერ მოხვდნენ და შესაბამისად, ძალი, როგორც გამარჯვებულების ახალ გათამაშებაში დაშვებას უეფას საგანგებო თათბირი და გადაწყვეტილება დასჭირდა — რაფა ბენიტესის ბიჭები უელსურ ნახევარპროფესიონალურ გუნდს, „ლანსანტფრეიდს“ ხვდებიან.

და ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთი, როგორც „ზამთრის სანახაობა“ ბოლო წლების ტენდენციის შესაბამისად, თანდათან/კვდება, მასში სულ მეტად და მეტად იპარება ზაფხულის ელემენტი და ეს მაშინ, როდესაც ფიფა კალენდრის შემსუბუქებასა და ინტერნაციონალიზაციას მთელი ძალითა და ღონით ეშურება.

როგორც სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტი, მიჩ ფილიპსი წერს, ბრიტანეთში ტრადიციის შესაბამისად, კრიკეტის სერია ინგლისსა და ავსტრალიას შორის და გოლფის ღია ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ დაწყებულა — ეს კი ის შეჯიბრებებია, რომელთაც ბრიტანელები ზაფხულობით იპყრობენ მზერას — აგრეთვე წინ არის მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც 6 აგვისტოს ჰელსინკში უნდა გაიხსნას და ფაქტობრივად, ინგლისში საფეხბურთო სეზონის სტარტს ემთხვევა.

გავიხსენოთ ივნისში გამართული კონფედერაციათა თასიც. მოგეხსენებათ, ამ თასის გათამაშებაში მსოფლიოს რვა ნაკრებმა და მათმა ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა, ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ ამ ფეხბურთელებს არდადეგები შეუმოკლეს — ისინი ხომ კონფედერაციათა თასის გათამაშების შემდეგ, ფაქტობრივად, პირდაპირ საკლუბო შეკრებებზე გადაერთნენ.

ცხადია, არსებობს, ინტერტოტოს თასიც. კი ბატონო, დიდი გუნდების უმეტესობა აქ თითქოს არ ტრიალებს, თუმცა, მეორე მხრივ, ეს მაინც ის შეჯიბრებაა, რომელიც მიზეზთა გამო მთავარი ტურნირების გარეშე დარჩენილმა დიდმა გუნდებმა შეიძლება ამ ტურნირებში დასაბრუნებლად გამოიყენონ — მაგალითად, „დეპორტივო ლა კორუნია“ ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებიდან სამი კვირის შემდეგ იძულებული შეიქნა, ფაქტობრივად, ახალ სეზონში ჩაბმულიყო.

კეთილი და პატიოსანი, ეს ყველაფერი რაც მოედანზე ხდება, მაგრამ არანაკლები აქტიურობაა მოედანს მიღმაც, სატრანსფერო ბაზარზე, რომელიც მოგეხსენებათ, დროში შეზღუდულია და ამიტომაც კლუბებს საქმეები მოსასწრები აქვთ.

სატრანსფერო ვნებათაღელვის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ვინაიდან „ლივერპულით“ დავიწყეთ და ამწუთას ეს კლუბი საგანგებო ყურადღების ცენტრშია, „ლივერპულის“ მაგალითითვე განვაგრძოთ — სტივენ ჯერარდი ზედიზედ მეორე წელიწადია „ჩელსის“ სატრანსფერო ინტერესის საგანს წარმოადგენდა, მისი შეძენით დაინტერესებული გახლდათ „რეალიც“, რამაც ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორ კაპიტანს არც მეტი, არც ნაკლები, თავგზა აუბნია და დროის ძალიან მოკლე პერიოდში ათქმევინა ყველაფერი, დაწყებული ასეთი ფრაზით: „მე ლივერპულიდან როგორ წავალ“, გაგრძელებული „მე ლივერპულში იდიოტი ვგონივართ და აქ დამრჩენი არ ვარ“ და დამთავრებული გმირული ნათქვამით, „მე ლივერპულს ვეკუთვნი“. მოკლედ, დიდი ვნებათაღელვის შემდეგ კაპიტანი „ლივერპულში“ დარჩა.

აქვე შეიძლება ერნან კრესპოს „მილანში“ ვერდარჩენისა და „ჩელსიში“ იძულებითი დაბრუნების ამბავიც მოვყვეთ.

მოკლედ, იწყება. იწყება, რათა მთელი ზამთარი გასტანოს და... ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატში გადაიზარდოს, რის შემდეგაც დაიწყება და...

პაპუნა კედია



რაფაელ ბენიტესი

რაფა ფიგუსაც ელის

ფიგუც სდომებია... „ლივერპულზეა“ საუბარი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულთა მწვრთნელ რაფა ბენიტესს ესპანეთიდან „ვალენსიას“ მალელი ნახევარმცველი, 20 წლის ლამინ სისოკოს გადაბირება რომ უნდოდა და, ფაქტობრივად, გადაიბირა კიდეც, უკვე გვეწერა, ლუიშ ფიგუს ამბავი კი გადაწყვეტით ჯერ თავად ბენიტესმაც არ იცის.

„ამწუთას ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ლოდინია — ბრძანა ბენიტესმა — ჩვენს რამდენიმე სატრანსფერო ვარიანტს შორის ერთ-ერთი ფიგუა. ვნახოთ, რა გამოვა“.

რაც შეეხება ზემოხსენებულ სისოკოს, მასზე ბენიტესმა თქვა:

„ის უდიდესი ენერგიით აღსავსე ფეხბურთელია, რომელიც გამუდმებით საქმეშია და ბურთთანაც კარგად არის. ვფიქრობ, იგი ნახევარდაცვას კარგად დაგვიბალანსებს“.

პაპუნა კედია



ლუიშ ფიგუ

ინტერტოტოს თასი 2005

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

გიოტებორგი (შვედეთი)	1:0	ლომბარდ პაპა (უნგრეთი) (3:2)
დინაბურგი (ლატვია)	2:1	*ჟალგირისი (ლიტვა)* (0:2)
შტურმი (ავსტრია)	1:3	*ვოლფსბურგი (გერმანია)* (2:2)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	0:1	ანკარა (თურქეთი) (4:0)
პოგონი (პოლონეთი)	0:0	*სიგმა (ჩეხეთი)* (0:1)
ბუდუჩნოსტი (სერბეთი)	2:1	*დეპორტივო (ესპანეთი)* (0:3)
შარლერუა (ბელგია)	0:0	*ტამპერე (ფინეთი)* (0:1)
ბილბაო (ესპანეთი)	1:0(პენ.3:5)	*კლუჟი (რუმინეთი)* (0:1)
ბეითარი (ისრაელი)	1:2	*ლიბერეცი (ჩეხეთი)* (1:5)
გლორია (რუმინეთი)	0:1	*სლავენი (ხორვატია)* (2:3)
იანგ ბოისი (შვეიცარია)	2:1	ლოკერენი (ბელგია) (4:1)
ქსამაქსი (შვეიცარია)	1:2	*სენტ ეტიენი (საფრანგეთი)* (1:1)
პობედა (მაკედონია)	1:4	*ჰამბურგი (გერმანია)* (1:4)
ინტერი (ფინეთი)	2:2	*პარტიზანი (ხორვატია)* (3:4)
ლეხი (პოლონეთი)	0:1	*ლანსი (საფრანგეთი)* (1:2)
ზლინი (ჩეხეთი)	0:0	*გენტი (ბელგია)* (0:1)

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ლაციო (იტალია)	—	ტამპერე (ფინეთი)
იანგ ბოისი (შვეიცარია)	—	მარსელი (საფრანგეთი)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	—	ნიუკასლი (ინგლისი)
ლეირია (პორტუგალია)	—	ჰამბურგი (გერმანია)
გენტი (ბელგია)	—	ვალენსია (ესპანეთი)
ეგალეო (საბერძნეთი)	—	ჟალგირისი (ლიტვა)
დორტმუნდი (გერმანია)	—	სიგმა (ჩეხეთი)
როდა (ჰოლანდია)	—	ლიბერეცი (ჩეხეთი)
კლუჟი (რუმინეთი)	—	სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)	—	სლავენი (ხორვატია)
გიოტებორგი (შვედეთი)	—	ვოლფსბურგი (გერმანია)
ვარტექსი (ხორვატია)	—	ლანსი (საფრანგეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 16-17 ივლისს, საპასუხოები — 23 ივლისს

ამხანაგური მატჩები

იანგ ბოისი (შვეიცარია) 2:1 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
ბაზელი (შვეიცარია) 2:2 ტრაბზონსფორი (თურქეთი)
გალათასარაი (თურქეთი) 1:0 დორტმუნდი (გერმანია)

სოშო დანაღმულია ფეთქებადი ბიჟოტა



დომინიკ ბიჟოტა

„სოშოს“ მწვრთნელი გი ლაკომბი მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა დომინიკ ბიჟოტამ შეცვალა. გეცოდინებათ, ამ ორს ფეხბურთელობისას 1984 წლის ოლიმპიადა მოუგიათ. ასე რომ, „სოშოს“ კვლავ ოლიმპიური ოქროსმედალოსანი თავკაცი ეყოლება.

დომინიკ ბიჟოტა გასული სეზონის დასაწყისში „აიაჩოში“ იყო, მაგრამ მეექვსე ტურის შემდეგ კორსიკული კლუბიდან გაათავისუფლეს, რომელიც როლან კურბისმა ჩაიბარა.

ბიჟოტამ სამსახური მეოთხედივიზიონელ „კლერმონში“ ნახა და იქ მწვრთნელობდა, მაგრამ იცოდა, რომ გი ლაკომბის ადგილს უმზადებდნენ.

„კლერმონის პრეზიდენტს ადრევე ვუთხარი, „სოშოში“ შესაძლო გადასვლის ამბავი და უმალ მოვრიგდით. ფეთქებადი ხასიათის კაცი ვარ, რის გამოც ხანდახან პრობლემები მექმნება. „სოშოს“ სათამაშო ყაიდას კარგად ვიცნობ. ეს გუნდი შეტევაში სწრაფად გადადის და შემსრულებლებიც საკმაოდ ჰყავს“.

ვაჟა ხუციშვილი

ქართული შუმი ვლადიკავკაზში

სპარტაკი — ლოკომოტივი. რკინიგზელებმა მასპინძლები დმიტრი სიჩოვისა (მარცხნივ) და დინიარ ბილიალეტდინოვის (№63) გოლებით დაამარცხეს

რუსეთი

პრემიერლიგა. XV ტური

სპარტაკი 1:2 ლოკომოტივი

0:1 სიჩოვი (48), 0:2 ბილიალეტდინოვი (79), 1:2 კავენაგი (80)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, გურენკო, პაშინინი, ასათიანი, სენიკოვი, მამინოვი, ფ. ლიმა (ომელიანჩუკი 90), ევსეევი, ხოხლოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი (პიმენოვი 83)

მოსკოვი 0:1 სატურნი

0:1 ესიპოვი (71)

რუბინი 2:0 შინიკი

1:0 ბაირამოვი (63), 2:0 აიუპოვი (84პ)

რუბინი: ხარჩიკი, სალუძვაძე, სკოტი, სინიოვი, კალისტო, ასტაფიევსი, აიუპოვი, კონოვალოვი, სილა, ბუიტკუსი (ბაირამოვი 46), დომინგესი (იალანდი 73)

ამკარი 0:0 ტორპედო

როსტოვი 0:1 ზენიტი

0:1 მარეში (41)

როსტოვი: ბაგი, გუტიერესი, კრუშჩიჩი, ოლენიკოვი, შირშოვი, ბურჩენკო (ჰენდრიქსი 46), ბოჩკოვი, ოსინოვი, დანცევი (ბურმისტროვი 78), პერესი, აშვეთია (ალხაზოვი 46)

ალანია 1:1 ცსკა

1:0 დარასელია (52), 1:1 ვაგნერ ლავი (56)

ალანია: რადიჩი, აგაევი, ოკორონკვო, ჟუტაუტასი, ბურდული, კრისტოფერი (ქანკავა 70), გრუიჩი (ბარასა 62), გ. ბაზაევი, ჯ. ბაზაევი, დარასელია, გოგნიევი (კ. ტუდორი 62)

ტერეკი 0:1 ტომი

0:1 მედვედევი (70)

დინამო 3:1 კრილია

1:0, 2:0, 3:0 დერლეი სილვა (58, 76პ, 83), 3:1 ბულიგა (90)

„ალანიას" ახალი მწვრთნელის, იცხაკ შუმის სადებიუტო მატჩში ქართველებმა იყოჩაღეს — ლადო ბურდულის დაწყებული საგოლე კომბინაცია ვიტალი დარასელიამ თხუთმეტიოდ მეტრიდან ზუსტი დარტყმით დაასრულა და ცსკა-სთან ანგარიში გახსნა.

დარასელიას გოლამდე კი გეორგი ბაზაევმა აკინფეევის კარის ძელი შეატოკა.

პირველ ტაიმში „მიძინებული" სტუმართა ბრაზილიელები ამის შემდეგაა გამოცოცხლდნენ და დანი კარვალიუს პასით ვაგნერ ლავმა გაათანაბრა.

მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, მსაჯმა ტიუმინმა ალანიელი ტუდორი გააძევა, თამაშის ბოლოს კი ცსკა-ს სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა და ტრიბუნებიდან ტიუმინს ბოთლები დაუშინეს.

მოსკოვურ დერბიში „ლოკომოტივმა" „სპარტაკს" მოუგო და ვლადიმირ ეშტრეკოვის გუნდი კვლავაც დაუმარცხებელია. ამ მატჩის გმირი 20 წლის დინიარ ბილიალეტდინოვი გახდა, ერთი გოლითა და საგოლე პასით. ანგარიში სიჩოვმა მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა, ბილიალეტდინოვმა კი მოგვიანებით მეორე მიამატა.

მერე „სპარტაკის" არგენტინელმა ფორვარდმა ფერნანდო კავენაგიმ ბრწყინვალედ შესრულებული შორეული დარტყმით სერგეი ოვჩინიკოვს გაუტანა და „ბოსის" მშრალი სერია 691-ე წუთზე შეწყვიტა — „ლოკომოტივის" მეკარეს სწორედ ამდენი წუთის განმავლობაში გოლი არ გაეშვა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „სპარტაკს" „ლოკომოტივისთვის" 2001 წლის 25 ივნისის შემდეგ არ მოუგია.

ყაზანის „რუბინმა" შინ „შინიკს" სძლია და ლიდერთა სამეულში გაერია. მასპინძლებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ საგოლე კომბინაცია... მოედანზე შევარდნილმა გულშემატკივარმა ჩაშალა. მეორე ნახევარში „რუბინისთვის" საკუთარ ქომაგს ხელი აღარ შეუშლია და ბაირამოვმა „შინიკის" მეკარეს ახლოდან გაუტანა. მოგვიანებით, ბაირამოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აიუპოვმა გამოიყენა და — 2:0. მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, „შინიკს" ერთი გოლის გაქვითვის შანსი გაუჩნდა, თუმც „რუბინის" მეკარე ხარჩიკმა თერთმეტი მეტრიდან ბრანკოს არ გაატანინა.

„როსტოვმა" სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" 32-გრადუსიან სიცხეში უმასპინძლა და მზისგან გათანგულმა ფეხბურთელებმა ერთმანეთის „ჩეხვა" არ დაიზარეს. არც მსაჯს დაზარებია ჯიბეში ყვითელი ბარათის მოძებნა და „მჩეხავები" 11-ჯერ გააფრთხილა. ნევისპირელებმა დონისპირელებს პაველ მარეშის გოლით მოუგეს და ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნეს.

ვაჟა ხუციშვილი

ლოკომოტივი	17	10	7	0	26:4	37
ზენიტი	16	7	5	4	25:15	26
რუბინი	15	7	5	3	19:15	26
ცსკა	13	7	4	2	21:6	25
სპარტაკი	15	7	4	4	26:16	25
მოსკოვი	14	6	5	3	14:7	23
დინამო	15	7	1	7	17:23	22
სატურნი	15	5	4	6	11:10	19
კრილია	16	4	7	5	15:20	19
ტორპედო	14	4	6	4	15:11	18
შინიკი	15	3	7	5	10:14	16
ტომი	15	3	6	6	9:15	15
ამკარი	15	2	9	4	11:19	15
ალანია	15	3	5	7	10:22	14
როსტოვი	15	2	4	9	8:23	10
ტერეკი	15	2	3	10	8:25	9

AFP ფოტოსურათი

სუპერთასიც შახტარს

მაღლობა ოდესას და მსაჯს

შეკრაინა

სუპერთასის ფინალი

დინამო 1:1(დ.დ.(პენ.3:4, 1:1) შახტარი

0:1 ელანო (5), 1:1 ბელკევიჩი (32)

დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ნესმაჩნი, იუსუფი, გუსევი (პეევი 77), როტანი, ბელკევიჩი (ალიევი 68), შაციხი, რებროვი (ჩესნაუსკისი 39)

მწვრთნელი: ლეონიდ ბურიაკი

შახტარი: ლაშტუვკა, ლევანდოვსკი, ჰუბშმანი, რაცი, ტიმოშჩუკი, დულიაი (სტოიკანი 79), სრნა, ელანო (შევჩუკი 59), ოადსონი, ვორობეი (მარიკა 69), ბელიკი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

30 000 მაყურებელი

შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის სუპერთასმა, რომელშიც ერთმანეთს ქვეყნის ორი მართლაც უძლიერესი გუნდი და ტრადიციული მეტოქე ხვდებოდა, მოლოდინი ბოლომდე გაამართლა. შეხვედრამ მაღალ ტემპში, ძალიან საინტერესოდ და ბოლო წუთებამდე დაძაბულად ჩაიარა.

მატჩის დასაწყისიდან გამოჩნდა, რომ მეტოქეები სწრაფი გოლის გატანას შეეცდებოდნენ და დონეცკელებმა მიაღწიეს კიდევ საწადელს — მე-5 წუთზე ბელიკის დარტყმული საბლიჩს მოხვდა, რიკოშეტით ბუთრი მარტო დარჩენილ ელანოს მიუვიდა, რომელსაც მისი კარში გადაგზავნა არ გასჭირვებია.

კიეველებს გათანაბრება იქვე შეეძლოთ. როტანის მიერ მშვენივრად შესრულებულმა საჯარიმომ კინაღამ მიზანს უწია, მაგრამ დონეცკელთა სასიხარულოდ, ბურთი ხარიხას მოხვდა. შემდეგ იყო „დინამოში" დაბრუნებული სერგეი რებროვის ორი სახიფათო დარტყმა. საერთოდ, იგი ძალიან აქტიურობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და 39-ე წუთზე შეცვალეს.

მალევე „შახტარმაც" გამოიღვიძა და ინიციატივა იგდო ხელთ, მაგრამ გოლი „დინამომ" გაიტანა — ვალენტინ ბელკევიჩმა კუთხურიდან ბურთი პირდაპირ კარში ჩაახვია, რაც იან ლაშტუვკა არ ელოდა და 1:1

მეორე ნახევარში გუნდებს დაღლილობა დაეტყოთ, მაგრამ მომენტები მაინც იქმნებოდა. ცოტა უფრო უკეთ კიეველები გამოიყურებოდნენ. „შახტარის" იერიშები კი ძალიან გაამწვავა 70-ე წუთზე ვორობეის ნაცვლად მინდორზე შესულმა მარიკამ.

ასევე უნდა გამოვარჩიოთ ძირითადი დროის მიწურულს შექმნილი ეპიზოდი, როდესაც იუსუფის წაქცევისთვის „დინამო" თერთმეტმეტრიანს ითხოვდა და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მსაჯმა საკამათო ეპიზოდი დონეცკელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

პენალტების სერიებამდე განსაკუთრებულად საინტერესო აღარაფერი მომხდარა. საფეხბურთო ლატარიაში კი იღბალმა ისევ „შახტარს" გაუღიმა. დონეცკელთაგან მხოლოდ სრნას დარტყმამ არ უწია მიზანს, ხოლო კიეველოაგან გავრანჩიჩმა და გუსევმა ვერ იეარგეს.

„პირველ რიგში დიდი მადლობა ოდესას თბილი მიღებისთვის და საოცარი საფეხბურთო ატმოსფეროს შექმნისთვის. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ჩემს ფეხბურთელებს მონდომებას ვერ დავუკარგავ. უბრალოდ, ფორტუნა „შახტარის" მხარეს იყო. ასევე არ შეიძლია, არ აღვნიშნო ასპროცენტიანი პენალტი, რომელიც არ დანიშნეს" — თქვა „დინამოს" თავკაცმა ლეონიდ ბურიაკმა.

დონეცკელთა რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩუსკუს განცხადება კი ასეთია: „ეს მომავლისთვის და გუნდის ფუნდამენტის შექმნისთვის ძალიან მშინველოვანი გამარჯვებაა. მსაჯობაზე კი ცუდს ვერაფერს ვიტყვი. არბიტრი უეფას ახალი წესების თანახმად და საკმაოდ მაღალ დონეზე მოქმედებდა. ასევე კმაყოფილი ვარ სტადიონზე მოსული ქომაგების რაოდენობითა და აქტიურობით".

გიორგი ძაძაბაძე

თაღლითი ჟალბი ცნობით

ხოსე ლუის ჩილავერტს პარიზის სასამართლომ 6-თვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა

ცნობილი პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი პარიზის სასამართლომ პირობითი ექსთვიანი პატიმრობით დასაჯა. მიზეზი: სტრასბურის „რასინგში" თამაშის წლებში მას თურმე დოკუმენტები ჰქონია გაყალბებული. ვერდიქტში ისიც წერია, რომ ჩილავერტმა კლუბისთვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ 10 000 ევრო უნდა გადაიხადოს, ხოლო კლუბის ყოფილ პრეზიდენტ პატრიკ პროისის სიმბოლურად ერთი ევრო უნდა ჩაურიცხოს ანგარიშზე.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რა გააყალბა ამ მეტისმეტად კოლორიტულმა ადამიანმა, რომელიც ჯერჯერობით, პარაგვაის პრეზიდენტობაზეც არ ამბობს უარს. თურმე ნუ იტყვით და, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ, მას ისე სდომებია საფრანგეთის ჩემპიონატში დაბრუნება, რომ სამედიცინო ცნობა გაუყალბებია, რასაც სტრასბურის კლუბის ხელმძღვანელობა მიმხვდარა და გაუძევებია გუნდიდან. თურმე, ვისაც ჯერ არს, ამ ფალსიფიკაციის ამბავი რომ გაეგო, სტრასბურელებს 4,4 მილიონი დოლარის გადახა არ ასცდებოდათ.

საინტერესოა, რომ სასამართლოში საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა და არა ყალბი დოკუმენტებით მუშაობის გამო. განგიმარტავთ: დამტკიცდა, რომ პარაგვაელს საბუთები თვითონ გაუყალბებია. ასე რომ, მთელი კომბინაცია მას აწვება ზურგზე.

პაპუნა კედია

კონკაკაფის ოქროს თასი 2005

A ჯგუფი. I ტური

კოლუმბია 0:1 პანამა

ტრინიდადი 1:1 ჰონდურასი

B ჯგუფი. I-II ტური

კანადა 0:1 კოსტა რიკა

კუბა 1:4 აშშ

კოსტა რიკა 3:1 კუბა

აშშ 2:0 კანადა

აშშ	2	2	0	0	6:1	6
კოსტა რიკა	2	2	0	0	4:1	6
კანადა	2	0	0	2	0:3	0
კუბა	2	0	0	2	2:7	0

C ჯგუფი. I ტური

სამხრეთ აფრიკა 2:1 მექსიკა

გვატემალა 3:4 იამაიკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი 2005-2006

2005 წელი

1-ლი ტური: 28 აგვისტო

ვალენსია : ბეტისი
სევილია : რასინგი
კადისი : რეალი
სელტა : მალაგა
ესპანიოლი : ხეტაფე
ბილბაო : სოსიედადი
ალავესი : ბარსელონა
მალიორკა : დეპორტივო
ატლეტიკო : სარაგოსა
ოსასუნა : ვილიარეალი

მე-2 ტური: 11 სექტემბერი

ვილიარეალი : სევილია
ბეტისი : ოსასუნა
სარაგოსა : ვალენსია
დეპორტივო : ატლეტიკო
ბარსელონა : მალიორკა
სოსიედადი : ალავესი
ხეტაფე : ბილბაო
მალაგა : ესპანიოლი
რეალი : სელტა
რასინგი : კადისი

მე-3 ტური: 18 სექტემბერი

ვალენსია : დეპორტივო
ბეტისი : სარაგოსა
კადისი : ვილიარეალი
სელტა : რასინგი
ესპანიოლი : რეალი
ბილბაო : მალაგა
ალავესი : ხეტაფე
მალიორკა : სოსიედადი
ატლეტიკო : ბარსელონა
ოსასუნა : სევილია

მე-4 ტური: 21 სექტემბერი

ვილიარეალი : სელტა
სევილია : კადისი
სარაგოსა : ოსასუნა
დეპორტივო : ბეტისი
ბარსელონა : ვალენსია
სოსიედადი : ატლეტიკო
ხეტაფე : მალიორკა
მალაგა : ალავესი
რეალი : ბილბაო
რასინგი : ესპანიოლი

მე-5 ტური: 25 სექტემბერი

ვალენსია : სოსიედადი
ბეტისი : ბარსელონა
სარაგოსა : დეპორტივო
სელტა : სევილია
ესპანიოლი : ვილიარეალი
ბილბაო : რასინგი
ალავესი : რეალი
მალიორკა : მალაგა
ატლეტიკო : ხეტაფე
ოსასუნა : კადისი

მე-6 ტური: 2 ოქტომბერი

ვილიარეალი : ბილბაო
სევილია : ესპანიოლი
კადისი : სელტა
დეპორტივო : ოსასუნა
ბარსელონა : სარაგოსა
სოსიედადი : ბეტისი
ხეტაფე : ვალენსია
მალაგა : ატლეტიკო
რეალი : მალიორკა
რასინგი : ალავესი

მე-7 ტური: 16 ოქტომბერი

ვალენსია : მალაგა
ბეტისი : ხეტაფ
სარაგოსა : სოსიედადი
დეპორტივო : ბარსელონა
ესპანიოლი : კადისი
ბილბაო : სევილია
ალავესი : ვილიარეალი
მალიორკა : რასინგი
ატლეტიკო : რეალი
ოსასუნა : სელტა

მე-8 ტური: 23 ოქტომბერი

ვილიარეალი : მალიორკა
სევილია : ალავესი
კადისი : ბილბაო
სელტა : ესპანიოლი
ბარსელონა : ოსასუნა
სოსიედადი : დეპორტივო
ხეტაფე : სარაგოსა
მალაგა : ბეტისი
რეალი : ვალენსია
რასინგი : ატლეტიკო

მე-9 ტური: 30 ოქტომბერი

ვალენსია : რასინგი
ბეტისი : რეალი
სარაგოსა : მალაგა
დეპორტივო : ხეტაფე
ბარსელონა : სოსიედადი
ბილბაო : სელტა
ალავესი : კადისი
მალიორკა : სევილია
ატლეტიკო : ვილიარეალი
ოსასუნა : ესპანიოლი

მე-10 ტური: 6 ნოემბერი

ვილიარეალი : ვალენსია
სევილია : ატლეტიკო
კადისი : მალიორკა
სელტა : ალავესი
ესპანიოლი : ბილბაო
სოსიედადი : ოსასუნა
ხეტაფე : ბარსელონა
მალაგა : დეპორტივო
რეალი : სარაგოსა
რასინგი : ბეტისი

მე-11 ტური: 9 ნოემბერი

ვალენსია : სევილია
ბეტისი : ვილიარეალი
სარაგოსა : რასინგი
დეპორტივო : რეალი
ბარსელონა : მალაგა
სოსიედადი : ხეტაფე
ალავესი : ესპანიოლი
მალიორკა : სელტა
ატლეტიკო : კადისი
ოსასუნა : ბილბაო

მე-12 ტური: 20 ნოემბერი

ვილიარეალი : სარაგოსა
სევილია : ბეტისი
კადისი : ვალენსია
სელტა : ატლეტიკო
ესპანიოლი : მალიორკა
ბილბაო : ალავესი
ხეტაფე : ოსასუნა
მალაგა : სოსიედადი
რეალი : ბარსელონა
რასინგი : დეპორტივო

მე-13 ტური: 27 ნოემბერი

ვალენსია : სელტა
ბეტისი : კადისი
სარაგოსა : სევილია
დეპორტივო : ვილიარეალი
ბარსელონა : რასინგი
სოსიედადი : რეალი
ხეტაფე : მალაგა
მალიორკა : ბილბაო
ატლეტიკო : ესპანიოლი
ოსასუნა : ალავესი

მე-14 ტური: 7 დეკემბერი

ვილიარეალი : ბარსელონა
სევილია : დეპორტივო
კადისი : სარაგოსა
სელტა : ბეტისი
ესპანიოლი : ვალენსია
ბილბაო : ატლეტიკო
ალავესი : მალიორკა
მალაგა : ოსასუნა
რეალი : ხეტაფე
რასინგი : სოსიედადი

მე-15 ტური: 11 დეკემბერი

ვალენსია : ბილბაო
ბეტისი : ესპანიოლი
სარაგოსა : სელტა
დეპორტივო : კადისი
ბარსელონა : სევილია
სოსიედადი : ვილიარეალი
ხეტაფე : რასინგი
მალაგა : რეალი
ატლეტიკო : ალავესი
ოსასუნა : მალიორკა

მე-16 ტური: 18 დეკემბერი

ვილიარეალი : ხეტაფე
სევილია : სოსიედადი
კადისი : ბარსელონა
სელტა : დეპორტივო
ესპანიოლი : სარაგოსა
ბილბაო : ბეტისი
ალავესი : ვალენსია
მალიორკა : ატლეტიკო
რეალი : ოსასუნა
რასინგი : მალაგა



ჩემპიონი „ბარსელონა“ სეზონს ვიტორიაში სტუმრობით დაიწყებს

მე-17 ტური: 21 დეკემბერი

ვალენსია : მალიორკა
ბეტისი : ალავესი
სარაგოსა : ბილბაო
დეპორტივო : ესპანიოლი
ბარსელონა : სელტა
სოსიედადი : კადისი
ხეტაფე : სევილია
მალაგა : ვილიარეალი
რეალი : რასინგი
ოსასუნა : ატლეტიკო

2006 წელი

მე-18 ტური: 8 იანვარი

ვილიარეალი : რეალი
სევილია : მალაგა
კადისი : ხეტაფე
სელტა : სოსიედადი
ესპანიოლი : ბარსელონა
ბილბაო : დეპორტივო
ალავესი : სარაგოსა
მალიორკა : ბეტისი
ატლეტიკო : ვალენსია
ოსასუნა : რასინგი

მე-19 ტური: 15 იანვარი

ვალენსია : ოსასუნა
ბეტისი : ატლეტიკო
სარაგოსა : მალიორკა
დეპორტივო : ალავესი
ბარსელონა : ბილბაო
სოსიედადი : ესპანიოლი
ხეტაფე : სელტა
მალაგა : კადისი
რეალი : სევილია
რასინგი : ვილიარეალი

მე-20 ტური: 22 იანვარი

ვილიარეალი : ოსასუნა
ბეტისი : ვალენსია
სარაგოსა : ატლეტიკო
დეპორტივო : მალიორკა
ბარსელონა : ალავესი
სოსიედადი : ბილბაო
ხეტაფე : ესპანიოლი
მალაგა : სელტა
რეალი : კადისი
რასინგი : სევილია

21-ე ტური: 29 იანვარი

ვალენსია : სარაგოსა
სევილია : ვილიარეალი
კადისი : რასინგი
სელტა : რეალი
ესპანიოლი : მალაგა
ბილბაო : ხეტაფე
ალავესი : სოსიედადი
მალიორკა : ბარსელონა
ატლეტიკო : დეპორტივო
ოსასუნა : ბეტისი

22-ე ტური: 5 თებერვალი

ვილიარეალი : კადისი
სევილია : ოსასუნა
სარაგოსა : ბეტისი
დეპორტივო : ვალენსია
ბარსელონა : ატლეტიკო
სოსიედადი : მალიორკა
ხეტაფე : ალავესი
მალაგა : ბილბაო
რეალი : ესპანიოლი
რასინგი : სელტა

23-ე ტური: 12 თებერვალი

ვალენსია : ბარსელონა
ბეტისი : დეპორტივო
კადისი : სევილია
სელტა : ვილიარეალი
ესპანიოლი : რასინგი
ბილბაო : რეალი
ალავესი : მალაგა
მალიორკა : ხეტაფე
ატლეტიკო : სოსიედადი
ოსასუნა : სარაგოსა

24-ე ტური: 19 თებერვალი

ვილიარეალი : ესპანიოლი
სევილია : სელტა
კადისი : ოსასუნა
დეპორტივო : სარაგოსა
ბარსელონა : ბეტისი
სოსიედადი : ვალენსია
ხეტაფე : ატლეტიკო
მალაგა : მალიორკა
რეალი : ალავესი
რასინგი : ბილბაო

25-ე ტური: 26 თებერვალი

ვალენსია : ხეტაფე
ბეტისი : სოსიედადი
სარაგოსა : ბარსელონა
სელტა : კადისი
ესპანიოლი : სევილია
ბილბაო : ვილიარეალი
ალავესი : რასინგი
მალიორკა : რეალი
ატლეტიკო : მალაგა
ოსასუნა : დეპორტივო

26-ე ტური: 5 მარტი

ვილიარეალი : ალავესი
სევილია : ბილბაო
კადისი : ესპანიოლი
სელტა : ოსასუნა
ბარსელონა : დეპორტივო
სოსიედადი : სარაგოსა
ხეტაფე : ბეტისი
მალაგა : ვალენსია
რეალი : ატლეტიკო
რასინგი : მალიორკა

27-ე ტური: 12 მარტი

ვალენსია : რეალი
ბეტისი : მალაგა
სარაგოსა : ხეტაფე
დეპორტივო : სოსიედადი
ესპანიოლი : სელტა
ბილბაო : კადისი
ალავესი : სევილია
მალიორკა : ვილიარეალი
ატლეტიკო : რასინგი
ოსასუნა : ბარსელონა

28-ე ტური: 19 მარტი

ვილიარეალი : ატლეტიკო
სევილია : მალიორკა
კადისი : ალავესი
სელტა : ბილბაო
ესპანიოლი : ოსასუნა
სოსიედადი : ბარსელონა
ხეტაფე : დეპორტივო
მალაგა : სარაგოსა
რეალი : ბეტისი
რასინგი : ვალენსია

29-ე ტური: 22 მარტი

ვალენსია : ვილიარეალი
ბეტისი : რასინგი
სარაგოსა : რეალი
დეპორტივო : მალაგა
ბარსელონა : ხეტაფე
ბილბაო : ესპანიოლი
ალავესი : სელტა
მალიორკა : კადისი
ატლეტიკო : სევილია
ოსასუნა : სოსიედადი

30-ე ტური: 26 მარტი

ვილიარეალი : ბეტისი
სევილია : ვალენსია
კადისი : ატლეტიკო
სელტა : მალიორკა
ესპანიოლი : ალავესი
ბილბაო : ოსასუნა
ხეტაფე : სოსიედადი
მალაგა : ბარსელონა
რეალი : დეპორტივო
რასინგი : სარაგოსა

31-ე ტური: 2 აპრილი

ვალენსია : კადისი
ბეტისი : სევილია
სარაგოსა : ვილიარეალი
დეპორტივო : რასინგი
ბარსელონა : რეალი
სოსიედადი : მალაგა
ალავესი : ბილბაო
მალიორკა : ესპანიოლი
ატლეტიკო : სელტა
ოსასუნა : ხეტაფე

32-ე ტური: 9 აპრილი

ვილიარეალი : დეპორტივო
სევილია : სარაგოსა
კადისი : ბეტისი
სელტა : ვალენსია
ესპანიოლი : ატლეტიკო
ბილბაო : მალიორკა
ალავესი : ოსასუნა
მალაგა : ხეტაფე
რეალი : სოსიედადი
რასინგი : ბარსელონა

33-ე ტური: 16 აპრილი

ვალენსია : ესპანიოლი
ბეტისი : სელტა
სარაგოსა : კადისი
დეპორტივო : სევილია
ბარსელონა : ვილიარეალი
სოსიედადი : რასინგი
ხეტაფე : რეალი
მალიორკა : ალავესი
ატლეტიკო : ბილბაო
ოსასუნა : მალაგა

34-ე ტური: 23 აპრილი

ვილიარეალი : სოსიედადი
სევილია : ბარსელონა
კადისი : დეპორტივო
სელტა : სარაგოსა
ესპანიოლი : ბეტისი
ბილბაო : ვალენსია
ალავესი : ატლეტიკო
მალიორკა : ოსასუნა
რეალი : მალაგა
რასინგი : ხეტაფე

35-ე ტური: 30 აპრილი

ვალენსია : ალავესი
ბეტისი : ბილბაო
სარაგოსა : ესპანიოლი
დეპორტივო : სელტა
ბარსელონა : კადისი
სოსიედადი : სევილია
ხეტაფე : ვილიარეალი
მალაგა : რასინგი
ატლეტიკო : მალიორკა
ოსასუნა : რეალი

36-ე ტური: 3 მაისი

ვილიარეალი : მალაგა
სევილია : ხეტაფე
კადისი : სოსიედადი
სელტა : ბარსელონა
ესპანიოლი : დეპორტივო
ბილბაო : სარაგოსა
ალავესი : ბეტისი
მალიორკა : ვალენსია
ატლეტიკო : ოსასუნა
რასინგი : რეალი

37-ე ტური: 7 მაისი

ვალენსია : ატლეტიკო
ბეტისი : მალიორკა
სარაგოსა : ალავესი
დეპორტივო : ბილბაო
ბარსელონა : ესპანიოლი
სოსიედადი : სელტა
ხეტაფე : კადისი
მალაგა : სევილია
რეალი : ვილიარეალი
რასინგი : ოსასუნა

38-ე ტური: 14 მაისი

ვილიარეალი : რასინგი
სევილია : რეალი
კადისი : მალაგა
სელტა : ხეტაფე
ესპანიოლი : სოსიედადი
ბილბაო : ბარსელონა
ალავესი : დეპორტივო
მალიორკა : სარაგოსა
ატლეტიკო : ბეტისი
ოსასუნა : ვალენსია

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია						
		ბუნდესლიგა						
		12 ივლისი						
21:30	1	გრაცერი-ზალცბურგი	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
		13 ივლისი						
17:30	2	რაპიდი-შტურმი	1.50	3.70	5.00	1.06	1.15	2.12
17:30	3	რიდი-ტიროლი	2.10	3.00	3.10	1.23	1.25	1.52
17:30	4	მატერსბურგი-პაშინგი	2.10	3.00	3.10	1.23	1.25	1.52
17:30	5	ადმირა-აუსტრია	3.50	3.10	1.90	1.64	1.23	1.17
		შვეიცარია						
		სუპერლიგა						
		13 ივლისი						
21:30	11	ქსამაქსი-იანგ ბოიზი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
		16 ივლისი						
21:30	12	გრასჰოპერი-ივერდონი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
21:30	13	სტ.გალენი-ციურიხი	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
21:30	14	თუნი-აარაუ	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
21:30	15	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა						
		11 ივლისი						
21:00	46	სუნდსვალი-იურგორდენი	3.40	3.30	1.95	1.67	1.23	1.22
		შვედეთი. სუპერეტა						
		11 ივლისი						
21:00	53	ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი	1.65	3.60	4.20	1.13	1.18	1.93
21:00	54	ვესბი-ვესტეროსი	1.80	3.50	3.60	1.18	1.20	1.77
		ისლანდია						
		11 ივლისი						
23:15	71	რეიკიავიკი-ფილკირი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
		12 ივლისი						
23:15	72	თროტური-აკრანესი	2.80	3.10	2.25	1.47	1.24	1.30
23:15	73	გრინდავიკი-ვალური	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		ლიბერტადორესის თასი						
		13 ივლისი						
23:45	196	სან პაულუ-ატლეტიკო პრ	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ჭადრაკი

დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

დორტმუნდში თეთრებმა გაბატონდნენ



პეტერ ლეკო

I ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1:0	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1:0	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	1:0	ემილ სუტოვსკი (ისრაელია)
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	1:0	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)

II ტური

ლუკ ვან ველი	1:0	ეტიენ ბაკრო
ვესელინ ტოპალოვი	1:0	არკადი ნაიდიჩი
ემილ სუტოვსკი	1:0	ვლადიმერ კრამნიკი
პეტერ სვიდლერი	0,5:0,5	პიტერ ჰაინე ნილსენი
პეტერ ლეკო	0,5:0,5	მაიკლ ადამსი

ებრაელი დიდოსტატი ემილ სუტოვსკი ჭადრაკის გარდა მუსიკითაც არის გატაცებული და ვოკალური მონაცემებიც არ დაეწუნება. ტურნირი მისი სიმღერით უნდა გაეხსნათ, თუმც გაურკვეველი მიზეზების გამო ეს კონცერტი არ შედგა და მოჭადრაკეები პირდაპირ სათამაშო მაგიდებს მიუსხდნენ.

პირველივე ტურში იყოჩაღეს თეთრი ფიგურებით მოთამაშე დიდოსტატებმა და ხუთი პარტიიდან ოთხი მოიგეს. „თეთრების“ დღე მეორე ტურშიც გაგრძელდა და ახლა ხუთიდან სამმა იმარჯვა. ტურნირს 1,5 ქულით სამი მოჭადრაკე ლიდერობს და აქედან ორმა — ლეკომ და ადამსმა მეორე ტურში ერთმანეთში ითამაშეს.

ლეკომ კლასიკური e4-ით დაიწყო პარტია და კუ შეტევაში გაუშვა. მოჭადრაკეები ფლანგების გავითარებას შეუდგნენ, მეომრები საომრად მოამზადეს და მე-13 სვლაზე იერიშებს შეუდგნენ. შეეტაკებებს რამდენიმე ფიგურა ემსხვერპლა. სისხლის ღვრის შემდეგ მოჭადრაკეები შედარებით მოდუნდნენ და 21-ე სვლაზე ზავი გამოაცხადეს.

წარუმატებლად თამაშობს კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი. სვიდლერთან პირველ ტურში ნათამაშები ყაიმის შემდეგ მან მომღერალ სუტოვსკისთან წააგო და 0,5 ქულით ბოლო ადგილზეა.

ლაგა გეგეჭკორი



ლეკო და ადამსი
21-ე სვლაზე დაზავდნენ

1	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1,5 ქულა
2	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1,5
3	პიტერ ჰაინ ნილსენი (დანია)	1,5
4	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1
5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	1
6	არკადი ნაიჩიდი (გერმანია)	1
7	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	1
8	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	1
9	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5
10	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	0,5

შავი ზღვა რუმინეთს დარჩა

სტამბოლში დასრულებულ შავი ზღვის ტურნირზე საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, პირველობა კი რუმინელებს ხვდათ წილად. მათ, ჩვენებურთა მსგავსად, 6,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში 1,5:0,5 მოგვიგეს და საბოლოო გამარჯვებაც ამით დაიმსახურეს.

თითოეულ ნაკრებში ორი წევრი იყო, ქალი და ვაჟი. თამაშებიც ცალ-ცალკე, ვაჟთა და ქალთა ჯგუფებში მიმდინარეობდა და საბოლოო გამარჯვებული მათი შედეგების დაჯამებით გამოვლინდა. ვაჟებში იყოჩაღა დავით ზარქუამ, ოთხი ჩატარებული პარტიიდან 3 მოიგო, ერთი კი ყაიმით დაასრულა და 3,5 ქულით პირველზე გავიდა. გოგონებში მეორე იყო სოფიო გვეტაძე. მან ოთხი შესაძლებლობიდან 3 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ქართველებმა თურქებს, რუსებს და ბულგარელებს სუფთად 2:0 მოუგეს და რომ არა რუმინელებთან მარცხი, ალბათ პირველობასაც ვერავინ შეგვეცილებოდა.

ძალიან სუსტად იასპარეზა ბულგარეთის გუნდმა. მათ ნახევარი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს და ბოლოზე ადგილზე გავიდნენ.

დავით ზარქუა მედლით

შეჯიბრის ბოლოს ტურნირის დირექტორი ოზან შაკირი კმაყოფილი იყო თავისი მუშაობით და დაგვპირდა, მომავალში უკეთეს სანახაობას გაჩუქებთო.

ლაგა გეგეჭკორი

გუნდური ჩათვლა

რუმინეთი	6,5 ქულა
საქართველო	6,5
თურქეთი	3,5
რუსეთი	3,5
ბულგარეთი	0

ვაჟთა ტურნირი

დავით სარქუა (საქართველო)	3,5
რაზვან სებე-ბოდისლავი (რუმინეთი)	2,5
სელჩუკი კილიკი (თურქეთი)	2,5
მიხაელ ემილიანოვი (რუსეთი)	1,5
იორდან დიმიტროვი (ბულგარეთი)	0

ქალთა ტურნირი

ალინა მოტოკი (რუმინეთი)	4 ქულა
სოფიო გვეტაძე (საქართველო)	3
ქსენია რუბენკო (რუსეთი)	2
ესრა აიდინი (თურქეთი)	1
ალბენა გეორგინოვა (ბულგარეთი)	0



გიორგი ცინცაძე

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲘᲡᲘ ᲤᲝᲢᲝ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ B ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲕᲐᲠᲜᲐ 8-17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

წინ, უდანაკარგოდ

ქართველები პირველობას და პოლონეთს უმიზნებენ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ დამოძღვრილმა გუნდმა გუშინ მესამე მატჩიც მოიგო და პოლონეთის ნაკრებთან ერთად ჯგუფის ლიდერია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველივე წინადადებაში გუნდად იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ კანდელაკის სამწყსოს წარმატების საწინდარი სწორედ გუნდური თამაშია და მისი მძლეველი ბულგარეთში ჯერაც არ გამოინახა.

თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩვენებს ძლიერი მეტოქე ჯერ არ გადაჰყრიათ. ფინეთი სერიოზული გუნდია, პირველ ტურში ირლანდია დაჩაგრა, გუშინ კი ჯგუფის ფავორიტთაგან სლოვაკეთს გამოუტანა წირვა. თუმცა, შაბათს, ჩვენდა გასახარად, ქართველებმა სკანდინავიელებს კუდით ქვა ასროლინეს.

თუ პირველ მატჩში ქართველთა ლაშქარში სამი კალათბურთელი გამოირჩა, ფინელებთან მხოლოდ გიორგი ცინცაძე ასცდა ათქულიან თამასას. ის კი გახლდათ ჩვენი გუნდის ლიდერი, მაგრამ მთლიანობაში ქართველებმა გუნდური თამაშით იძალეს.

კანდელაკმა ფინელებთან მხოლოდ დავით ერქვანია არ ათამაშა, დანარჩენ თერთმეტს კი მეტ-ნაკლები წვლილი მიუძღვის გამარჯვებაში. ქართველებს მთლიანობაში მეტოქეზე ნაკლები მოხსნა დაუგროვდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ფინელებზე სამჯერ მეტი პასი გასცეს და, რაც მთავარია, საშუალო დისტანციიდან ტყორცნებში იჩუბინეს.

თავად განსაჯეთ, ფინელების ჩაგდებული 37 პროცენტის წილ ქართველებმა სროლათა 61 პროცენტი მიითვალეს. კანდელაკის ბიჭები სამქულიანებშიც ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე და ბოლო მეოთხედის წინ ყველაფერი გაირკვა. საქართველო 22 ქულას იგებდა და ფინელებმა ფინალური სირენამდე ისღა მოახერხეს, რომ ჩამორჩენა 15-მდე შეამცირეს.

გუშინდელ მატჩზე კი ლაპარაკიც არ ღირს, იმდენად დიდი იყო ქართველთა უპირატესობა ირლანდიელებზე. თავიდან ჩვენები მოკრძალებულად ლიდერობდნენ, თუმც მესამე მეოთხედში სასაკლაო მოუწყეს კელტებს და ბოლო ათწუთეულს ამჯერადაც აზრი დაუკარგეს — 68:39.

უბადლოდ ითამაშა გიო ცინცაძემ, რომელმაც თითქმის ყველა ბურთი ჩააგდო, რაც კი სტყორცნა. საერთოდ, ქართველებმა ირლანდიელებთან გამორჩეულად იჩუბინეს, ოქრულიანების 75 პროცენტი ჩააგდეს და ირლანდიაც გაცამტვერდა.

არადა, კელტებმა შაბათს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენი ჯგუფის ფავორიტ პოლონეთს და მხოლოდ 9 ქულით წააგეს, ქართველებთან კი...

ასე და ამგვარად, საქართველოს ნაკრები სამიდან სამი გამარჯვებით პირველ ადგილზეა და ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით უსწრებს ასევე უდანაკარგო პოლონეთს.

დღეს ქართველები ისვენებენ და ხვალ სლოვაკეთს ეთამაშებიან, რომელიც, ჩვენდა გასახარად, გუშინ ფინეთთან დამარცხდა ოვერტაიმში. ჩვენებმა უკვე გაიმარჯვეს [illegible] ხედფინალის საკუთარი, თუმც [illegible] ისაა, რომ კანდელაკის [illegible] ზემო ადგილი დაიკავონ, რათა [illegible] შედარებით სუსტი მეტოქეები [illegible]

ქართველებს კარგი შანსი აქვთ, [illegible] პირველ ადგილზე გავიდნენ, [illegible] პოლონელების დამარცხება [illegible]

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 73:58 ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

21:12 24:16 [illegible]

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ	ᲥᲗ	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
ვაშაკიძე	8	3	-	-	1	2
გამყრელიძე	25	5	7	1	2	[illegible]
მამაცაშვ[illegible]	11	8	1	-		
მდივანი	26	8	11	2	1	[illegible]
ცინცაძე	31	18	4	2	3	[illegible]
საყვარელიძე	27	9	5	3	2	5
ჩხატარაშვილი	18	6	2	2	1	7
ფარლალავა	18	5	3	-	1	
ჩავლეიშვილი	10	4		-		
იმნაძე	20	7	2		1	2
ათუაშვილი	5	-	2	-		[illegible]

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 88:64 ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

22:16 14:10 31:12 21:26

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ	ᲥᲗ	Ძ	Მ	Ა	Ჩ	Დ
ვაშაკიძე	14	11	2	1	[illegible]	[illegible]
გამყრელიძე	24	6	2	[illegible]	2	[illegible]
მამაცა[illegible]ილი	20	7	4			[illegible]
მდივანი	14	-	8			6
ცინცაძე	29	18	7	5	4	6
საყვარელიძე	19	8	2	4	6	3
ერქვანია	-	-	-			-
ჩხატარაშვილი	16	-	4	-		6
ფარლალავა	15	8	-	1	-	[illegible]
ჩავლეიშვილი	12	8	-	-		
იმნაძე	19	17	6	1	1	2
ათუაშვილი	19	5	3	-		3

შენიშვნა: ᲥᲗ — წუთი; Ქ — [illegible]
Მ — მოხსნა; Ა — პასი; Ჩ — ჩაჭრა; Დ — [illegible]



კლასიკური იმედგაცრუება

უოჭროვერცხლო უქმეები

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების მიერ ვილნიუსურ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის შემდეგ ოქროს ბერძენ-რომაელებისგან ველოდით. ახალგაზრდა კლასიკოსები გუნდურ ჩათვლაში ევროპის მოქმედი ჩემპიონები და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორები არიან და ლიტვაშიც ფავორიტებად ჩავიდნენ, თუმც...

ორდღიანი მსოფლიოს ჩემპიონატი ისე გაილია, ქართულ ყულაბაში მხოლოდ ერთი მედალი ჩავიდა, ისიც ბრინჯაოსი. კვარცხლბეკამდე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე რევაზ ლაშხი მივიდა. ებრაელი მაჩმან ალაევის, ამერიკელი მანგო სპენსერისა და რუმინელი აურელიან ლეიკუს ძლევის შემდეგ ჩვენებური ირანელ ჰამიდ სორიან რეიჰანპურთან ვეღარას გახდა და ფინალშიც ირანელი გავიდა. მერე რეიჰანპური ჩემპიონიც გახდა, ლაშხმა კი რეპეშაჟის ფინალში ყაზახ ბურზან ორაზბეკოვს ორ წუთში მოუმთავრა საქმე.



დანარჩენ ჩვენებურთაგან მედალთან ყველაზე ახლოს ზურაბ ზავრაშვილი (60 კგ) იყო. ლაშხის მსგავსად, მარცხი მანაც მეოთხე წრეში იწვნია, მაგრამ, თანაგუნდელისგან განსხვავებით, ბრინჯაოსთვის ბრძოლის გაგრძელება ვერ მოახერხა. მისი მომგები ლიტველი ალექსანდრ კაბაკევიჩიც მალევე დამარცხდა, მსაჯების დიდი სიმპათიის მიუხედავად.

აქვე ზავრაშვილისგან დამარცხებულებსაც ჩამოვთვლით: მოლდოველი ემილ მურადოვი, ჩეხი ანდრეი ულიფი და უნგრელი ტამას ლოერინცი.

მხოლოდ ორი წრის გავლა მოახერხა ომარ ბაკურიძემ (66 კგ), არადა, ვლადიმერ ადეიშვილის გუნდში შედეგს ყველაზე მეტად მისგან ველოდით. ევროპის ჩემპიონმა ამჯერად მხოლოდ ორი წრე გაიარა. სომეხი ჰოვანეს ჰაიტაიანი და კორეელი იონკ-კიუ იუნი ისე ჩამოიცილა, ერთი რაუნდიც არ დაუთმია, მერე კი უკრაინელ ნიკოლაი სავჩენკოსთან სამრაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა და ჩემპიონატს გამოეთიშა.

კადეტებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ-ბრინჯაოსტებს გივი მორჩილაძეს (96 კგ), ვლადიმერ გეგეშიძესა (84 კგ) და ოთარ ფევაძეს (74 კგ) ხალიჩაზე გასვლა ორ-ორჯერ მოუწიათ. მეორე წრეში მორჩილაძემ თურქ სადიმ ბაქირთან წააგო, გეგეშიძემ -- ახლაც თურქ სელკ ილდეშთან, ხოლო ფევაძემ ბელარუს ვალერი პალუნსკისთან და რადგან ამის მეტი ვერარც ქართველთა მძლეველებმა იყოჩაღეს, ჩვენი რეპეშაჟელი ამბადებიც გადაიწურა.

ყველაზე უიღბლოდ საქართველოს ნაკრების წევრებიდან უმსუბუქესმა შალა გოგიტაძემ (50 კგ) და უმძიმესმა ოთარ ბოლქვაძემ (120 კგ) იჭიდავეს. ლიტვურ ხალიჩაზე ერთი გამარჯვებაც არ უზეიმიათ.

ᲝᲗᲐᲠ ᲑᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ოლიმპიადამ სოფტბოლი და ბეისბოლი მოისაკლისა

სინგაპურში შაბათს დასრულდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-ე სესია, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევასთან დაკავშირებული დიდი ვნებათაღელვით დაიწყო და ასევე გასრულდა, ოღონდ ამჯერად ოლიმპიურ პროგრამასთან დაკავშირებული ცვლილებებით.



AP სინგაპურიდან

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი კევინ გოსპერი და პრეზიდენტი ჟაკ როგი

AP სინგაპურიდან

შიხარუ იგაია



ლამბის ნიკოლაუ

ფარული კენჭისყრის შედეგად ოლიმპიურ თამაშებს გამოეთხოვა ბეისბოლი და სოფტბოლი.

შეგახსენებთ, რომ ბეისბოლი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1992 წელს მოხვდა ბარსელონაში, ხოლო 2000 წელს სიდნეის თამაშებზე ამ სახეობაში უკვე პროფესიონალებიც დაუშვეს. იმავე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად მოხვდა სოფტბოლიც და მასში აქამდე ამერიკელი ქალები დომინირებდნენ, რომლებმაც სამი ოქროს მედალი დაიმსახურეს.

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კი აღარც ერთი იქნება და აღარც მეორე. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა აღნიშნა, რომ სოფტბოლსა და ბეისბოლს კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, რათა ოლიმპიურ ოჯახს დაუბრუნდნენ.

„არც კი ღირს იმაზე საუბარი, თუ როგორ უგუნებოდ დაგვრჩნენ ამ სახეობათა წარმომადგენლები, მაგრამ ეს გადაწყვეტილება იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სოფტბოლი და ბეისბოლი სამუდამოდ არიან დისკვალიფიცირებულნი“ — თქვა ჟაკ როგმა.

სოკ-ის პრეზიდენტმა ასე კი დაამშვიდა ამ ორი სახეობის წარმომადგენლები, მაგრამ, ჩვენი აზრით, უახლოეს მომავალში ძნელი სავარაუდოა, რომ ეს ორი სახეობა კვლავ დაუბრუნდეს ოლიმპიურ პროგრამას. ამ ეჭვების საფუძველს გვაძლევს ის სანახევროდ ცარიელი ტრიბუნები, რომლებიც სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მათ ტრიბუნაზე ვიხილეთ.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჟაკ როგი ჯერ კიდევ სოკ-ის პრეზიდენტად მის არჩევამდე ეწეოდა აგიტაციას ოლიმპიური პროგრამის შემცირების თაობაზე და ებრძოდა მის „გიგანტომანიას“. ახლაც სწორედ მან წამოაყენა წინადადება, რომ თითეულ ოლიმპიურ სახეობაზე კენჭისყრა გამართულიყო. მისი გეგმით, ის სახეობა, თუ სახეობები, რომლებიც ვერ მოაგროვებდნენ ხმათა საკმაო რაოდენობას, უნდა გარიცხულიყვნენ. ამასთან, გარიცხულთა ადგილზე, როგორც წინა „სარბიელში“ ვიუწყებოდით, პრეტენზიას აცხადებდა გოლფი, გორგოლაჭებიანი სპორტი, შვიდკაცა რაგბი, სკვოში და კარატე.

კენჭისყრის შედეგად ოლიმპიური პროგრამის აუტსაიდერები ბეისბოლი და სოფტბოლი კი აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი ადგილი ვერც ერთმა სხვა სახეობამ ვერ დაიკავა.

ვაკანტური ადგილის მოსაპოვებლად სოკ-ის წევრებს შვიდი რაუნდის გამართვა დასჭირდათ, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. თავდაპირველად, იმ ორი ადგილის შესავსებად ორი პრეტენდენტი გამოავლინეს. ასეთი აღმოჩნდა სკვოში და კარატე, მაგრამ ბოლოს ვერც ამ სახეობებმა მოაგროვეს ხმათა უმრავლესობა.

ასე და ამგვარად, ნებით თუ უნებლიედ, ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამა 28-დან 26 სახეობამდე შემცირდა, რითაც ამ ოლიმპიადის ორგანიზატორები 50 მილიონი ფუნტის ეკონომიას გასწევენ.

ასე რომ, ოლიმპიური პროგრამა ამ დანაკლისს 2016 წლამდე ვეღარ აინაზღაურებს.

სხვათა შორის, სინგაპურის სესიაზე დიდი საფრთხე ელოდა თანამედროვე ხუთჭიდსაც, რომელიც 1912 წლიდანაა (სტოკჰოლმი) ოლიმპიურ პროგრამაში, მაგრამ მან კონკურენციას გაუძლო.

სინგაპურის სესიამდე კენჭისყრას გულის ფანცქალით ელოდნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველებიც, რომლებიც გუმანით რაღაცას გრძნობდნენ. ჩვენდა სასიხარულოდ, ხიფათს ეს სახეობაც გადაურჩა.

ასეა თუ ისე, ბოლო 69 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა ოლიმპიური პროგრამა.

ერთხელაც შეგახსენებთ, რომ სულ ბოლოს ოლიმპიურ ოჯახს 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე ცხენბურთი გამოაკლდა.

***

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე შაბაის ათრჩიეს ამ ორგანიზაციის ახალი ვიცე-პრეზიდენტები. ესენი არიან ბერძენი ლამბის ნიკოლაუ და იაპონელი შიხარუ იგაია. მათ ამ პოსტზე შეცვალეს რუსი ვიტალი სმირნოვი და სამხრეთკორეელი კიმ უნენი, რომელიც სოკ-ში გამოვლენილ კორუფციაშია ბრალდებული და კარგა ხანია, რაც ციხეში სასჯელს იხდის.

ასე რომ, ახლა ჟაკ როგს კვლავინდებურად ოთხი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს. ნიკოლაუსთან და იგაიასთან ერთად ესენი არიან ამერიკელი ჯეიმს ისტონი და შვეიცარიელი გუნილე ლუნდბერგი.

ავთანდილ ბუაძიშელი

ქამი სიხარულისა თუ სინანულისა

უკანასკნელი სამი დღეა, ჩრდილო ამერიკის ჰოკეის მოყვარულები აფორიაქებულნი არიან. მათ არ იციან, გაიხარონ, თუ დასევდიანდნენ... ვერ გაუგიათ, რა ხდება

პარასკევს ამერიკამ სიხარულის შოკი განიცადა. გავლენიანმა ამერიკულმა გაზეთმა „ლოს ანჟელეს თაიმსმა“ სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ლოკაუტი პრაქტიკულად დასრულდა, ვინაიდან ნჰლ-მა და მოთამაშეთა ასოციაციამ დაამთავრეს მუშაობა ახალ კოლექტიურ შეთანხმებაზე და ყველა ნიუანსი მოაწესრიგეს. შესაბამისად, მხოლოდ ლოკაუტის დასრულების ოფიციალური ინფორმაციის გამოცხადებაღა დარჩა. მოავარი კალიფორნიული გაზეთის მტკიცებით, ეს არაუგვიანეს დღეს მოხდება. „ლოს ანჟელეს თაიმსმა“ ახალი შეთანხმების მოავარი დეტალებიც გამოამზეურა 7 პუნქტად:

1. მოთამაშეთა ხელფასები კლუბის შემოსავლის არაუმეტეს 54 პროცენტს შეადგენს;
2. ხელფასები 24 პროცენტით შემცირდება;
3. ზედა სახელფასო ზღვარი 37 მილიონი, ხოლო ქვედა 24 მილიონი დოლარი იქნება;
4. არც ერთი მოთამაშის ჯამაგირი არ აღემატება სახელფასო ბიუჯეტის 20 პროცენტს;
5. ახალბედის მაქსიმალური ჯამაგირი 850 ათას დოლარს შეადგენს;
6. თებერვალში 18-დღიანი პაუზა გამოცხადდება ნჰლ-ს ოლიმპიადაში მონაწილეობის მიზნით;
7. შეუზღუდავად თავისუფალი აგენტად გადაქცევის ასაკი 31 წლიდან 28 წლამდე შემცირდება.

ფაქტობრივად გაზეთმა დაამტკიცა ის, რაზეც უკვე ლაპარაკობდნენ კულუარებში, ანუ — პროფკავშირის სრული ფიასკო. პრაქტიკულად ყველა ასპექტში ნჰლპა-მ მარცხი განიცადა და ერთადერთი წარმატებად მხოლოდ ის უნდა ჩაეთვალოს, რომ ასოციაციამ შეძლო მოთამაშეთა ხელფასების შემცირების პროცენტის 24-ის ნიშნულზე დატოვება (ნაცვლად 34-სა, როგორც ადრე ვარაუდობდნენ), თუმც ეს უკვე აღარაა მთავარი. მთავარი ჰოკეის დაბრუნებაა.

მეორე დღეს ეს ინფორმაცია უარყო როგორც ნჰლ-მა, ასევე პროფკავშირმა, თანაც, თუ ნჰლპა-ს წარმომადგენელმა ამ ინფორმაციას „არაზუსტი“ უწოდა, ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა კომუნიკაციების დარგში, ბერნადეტ მანსურმა კი გაზეთი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.

ერთი სიტყვით, თავად მიხვდებით, თუ რა დღეში არიან ჰოკეის ფანები. მათ ლოკაუტის მთელი მსვლელობისას უკვე იმდენი ტყუილი და არაზუსტი ინფორმაცია მოისმინეს, რომ ახლაც არ იციან, ვის დაუჯერონ. თუმც ანალიტიკოსების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ იქნება, ანუ ლოკაუტის დასრულებამდე მართლაც სულ ცოტაღა დარჩა. რახან ასეთი სტატიები დაიბეჭდა (კალიფორნიული გაზეთის დარი ინფორმაცია, ოღონდ ნაკლები დეტალებით, სხვა გამოცემებშიც გამოქვეყნდა), ესე იგი მართლაც სულ მალე შეთანხმებას მიაღწევენ. მით უმეტეს, რომ კვირის ბოლოს კლუბების ცხოვრება შესამჩნევად გააქტიურდა. ერთბაშად ოთხ გუნდში საკადრო ცვლილებები მოხდა და უკლებლივ ყველა მწვრთნელებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, „დეტროიტმა“ დეივ ლუისისი გაათავისუფლა. დიადი სკოტი ბოუმენის მოსწავლემ ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ორწლიანი მუშაობის განმავლობაში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია და მას, კარისკენ მოუთითეს, მის მემკვიდრედ კი უმრავლესობა „ანაჰაიმის“ თავკაც მაიკ ბებკოკს მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ამ დღეებში მან უარყო „იხვების“ მესვეურთა წინადადება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. „ჩიკაგოს“ ამიერიდან გუნდის ყოფილი მოთამაშე ტრენტ იონი გაუძღვება. აი, „ნიუ ჯერსი“ კი პეტ ბიორნს გამოემშვიდობა. თანაც ეს არც თავად ბიორნსის გეგმებში შედიოდა და არც მისი უფროსების. უბრალოდ, ავადმყოფობის გამო მოხდა — საუკეთესო მწვრთნელის ტიტულის სამგზის მფლობელს კიბო აღმოუჩინეს. თანაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე მეორედ დაეცა თავზარი. ოპერაცია გაუკეთეს წარმატებით, ახლა კი სხვა სახის სიმსივნე აღმოუჩინეს.

სამწუხაროა, რომ ასეთი სპეციალისტი ავადმყოფობის გამო ვეღარ გააგრძელებს მუშაობას, ბიორნსი ხომ მხოლოდ 53 წლისაა.

დაბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია. მოგეხსენებათ, 1998 წელს ავტოკატასტროფაში მოხვედრის შემდეგ „დეტროიტის“ მცველი ვლადიმირ კონსტანტინოვი ისე მძიმედ დაშავდა, რომ დღემდე პარალიზებულია, მხოლოდ ინვალიდის ეტლის მეშვეობით მოძრაობს და ძლივს ლაპარაკობს. თუმც გამოჩენილ ჰოკეისტს არ ივიწყებენ და ოთხშაბათს მას საზეიმო ვითარებაში გადასცეს აშშ-ს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი. კონსტანტინოვმა და მისმა მეუღლე ირინამ ერთი წლის წინ წარადგინეს საბუთები მოქალაქეობის მიღებაზე და დამსახურებული კაცის თხოვნა მინიმალურ ვადაში დაკმაყოფილდა.

კონსტანტინოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის იხტიბარს არ იტეხს და ცდილობს, რაც შეიძლება სრულფასოვნად იცხოვროს. ვლადიმირმა „დეტროიტ ნიუს პრესის“ კორესპონდენტებთან გასაუბრებაც კი მოახერხა. „მე თავს კარგად ვგრძნობ“ — განუცხადა ჰოკეისტმა ჟურნალისტებს.

სამეულ ღარიბიანი

ტური დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

არმსტრონგს ყვითელი მაისურა აღარ სჭირდება

მეათე ეტაპზე იენს ფოიგტი ყვითელი მაისურით მოგვევლინება

შაბათ-კვირას „ტურ დე ფრანსის" მერვე-მეცხრე ეტაპები გაიმართა და ველომრბოლელებმა საერთო ჯამში 402,5 კილომეტრი დაფარეს.

ფორცჰაიმიდან ჟირარმემდე 231,5 კმ ყველაზე სწრაფად, 5 საათში, 3 წუთსა და 54 წამში ჰოლანდიელმა პეტერ ვინინგმა დაძლია, რომელიც „რაბობანკის" გუნდის წევრია. მეორე ადგილზე გასულმა გერმანელმა ანდრეას კლოდენმა ფინიშს ფაქტობრივად ლიდერთან ერთად უწია. მისი ჩამორჩენა იმდენად უმნიშვნელო გახლდათ, რომ ადამიანის თვალი ფოტოფინიშის მეშვეობითაც კი ვერ შეაჩნევდა. „ტი-მობილელი" ჰოლანდიელს წამის ორი მეათიათასედით (!) ჩამორჩა. მესამე ადგილზე გასულ ალეხანდრო ვალვერდეს ვინინგმა და კლოდენმა 27 წამით აჯობეს. ვალვერდე ესპანელია და „ილ ბალეარის" გუნდის წევრი გახლავთ.

მიუხედავად ჩამორჩენისა, ლენს არმსტრონგს მერვე ტურის შემდეგ ლიდერობა არ დაუკარგავს. სამაგიეროდ, დიადი ამერიკელი ყვითელი მაისურას მეცხრე ეტაპის შემდეგ დაემშვიდობა.

ლიდერობა გერმანელმა იენს ფიოგტმა იგდო ხელთ, რომელიც 3 წუთითა და 4 წამით ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულ მიკაელ რასმუსენს. დანიელმა ფინიშის ხაზი 4 საათში, 8 წუთსა და 20 წამში გადაკვეთა. მეორე ფრანგი კრისტოფ მორო გახლდათ, რომელმაც საერთო ჩათვლაშიც მეორე ადგილზე ამოყო თავი.

ლენს არსმტრონგი 28-ე იყო, თუმც მის ჯგუფში აღმოჩნდნენ ამერიკელის მთავარი კონკურენტებიც: იან ულრიხი (29-ე), ალექსანდრ ვინოკუროვი (35-ე) და ივან ბასო (30-ე).

როგორც ჩანს, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე დაქვეითება არმსტრონგს დიდად არ ანაღვლებს და ამას ტაქტიკური სვლით ხსნის.

ფოიგტს ამერიკელი კონკურენტად არ თვლის და რადგანაც სამშაბათს, მეათე ეტაპიდან ველომხედრები ალპებისკენ დაიძრებიან, სადაც არმსტრონგი უკვე მთელი ძალით ეცდება თავის გამოჩენას, ამ ეტაპზე მისთვის მთავარ ამოცანად ულრიხის, ბასოს, ვინოკუროვის და სხვა ძლიერი მოწინააღმდეგეების წინ არგაშვება იყო და ამას მიაღწია კიდეც.

„ჩვენ არ გვჭირდება ყვითელი მაისურა ალპებში" — აცხადებდა ლენსი სტარტის წინ. „ალპების გადალახვას მის გარეშეც შევძლებთ. მთავარია ამ მარშრუტის შემდეგ ჩვენს ხელში აღმოჩნდეს ლიდერობა."

სახელოვან ამერიკელს ეს სიტყვები ფინიშის შემდეგ რომ ეთქვა, ვინმე იფიქრებდა, წარუმატებლობას ტაქტიკური ჩანაფიქრით ხსნისო, თუმცა ფაქტი ჯიუტია. „დისქავერმ" მთელი ეტაპი ისე გაიარა, როგორც არმსტრონგს ჰქონდა ჩაფიქრებული.

თავიდანვე გამოჩნდა, რომ „დისქავერი" მჭიდრო ჯგუფიდან გამოყოფას არ აპირებდა და სტარტიდანვე პირველ ადგილზე გაჭრილ რასმუსენს მათგან არავინ გამოკიდებია. არც ფოიგტის დაწევისთვის მოუკლია ვინმეს თავი და პედლების ტრიალსაც მხოლდ მაშინ უმატებდნენ, როდესაც გერმანელი დასაშვებზე უფრო დიდი მანძილით უსწრებდათ.

ახალგამომცხვარმა ლიდერმა, „სი-ეს-სის" გუნდის წევრმა იენს ფოიგტმა კი ალალად აღიარა, რომ გალიდერება ძალიან გაუხარდა.

„ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შანსი იყო ყვითელი მაისურის მოგებისა და ბედნიერი ვარ, რომ ამას მივაღწიე" — თქვა მან ჟურნალისტებთან.

ეტაპის გამარჯვებული, მიკაელ რასმუსენი, რომელიც წინა „ტურ დე ფრანსზე" საერთო ჩათვლაში მეთოთხმეტე ადგილზე იყო, არმსტრონგის სერიოზული მეტოქე იქნება ალპებშიც და პირინეებშიც, რადგან დანიელი სწორედ მუხლმაგრობითა და მთაში პედლების კარგად ტრიალით გახლავთ გამორჩეული, თუმცა სხვაგვარ ტრასებზე ასე ვეღარ ჩაუქობს და მისი სისუსტეც ეს არის.

„ერთადერთი, რაც კარგად გამომდის, მთაში რბოლაა" — აღიარებს „რაბობანკის" გუნდის წევრი.

ლადო ფულუკიძე

მერვე ეტაპი. 9 ივლისი — ფორცჰაიმი — ჟირარმე. 231,5 კმ

1	პიტერ ვინინგი (ჰოლანდია, რაბობანკი)	5 სთ 03 წთ 54 წმ
2	ანდრეას კლოდენი (გერმანია, ტი-მობილი)	იგივე დრო
3	ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილბალეარი)	27 წმ
4	კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ფასა ბორტოლო)	
5	იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი)	ორივე იგივე დრო

მეცხრე ეტაპი. 10 ივლისი — ჟირარმე — მულაუზი. 171 კმ

1	მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	4 სთ 08 წთ 20 წმ
2	ქრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლე)	3 წთ 04 წმ
3	იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი)	იგივე დრო
4	სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდის კრედიტი)	6 წთ 04 წმ
5	ფილიპ გილბერტი (ბელგია, ფრანსე დე ჟუ)	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1	იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი)	32 სთ 18 წთ 23 წმ
2	ქრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლე)	01 წთ 50 წმ
3	ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი)	02 წთ 18 წმ
4	მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	02 წთ 43 წმ
5	ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობილი)	03 წთ 20 წმ



მეცხრე ეტაპის გამარჯვებული მიკაელ რასმუსენი

ლომების ტურნე 2005



სამივე ტესტ-მატჩის გმირი ტანა უმაგა

ლომებისთვის ტურნეც დამთავრდა და წვალებაც

9 ივლისი. ოკლენდი

ახალი ზელანდია 19:38 ლომები

ახალი ზელანდია: მილს მულიაინა, რიკო გირი, კონრად სმიტი, ტანა უმაგა (კაპ), სიტივენი სივივატუ; ლიუკ მაკალისტერი, ბაირონ კელეჰერი (ჯასტინ მარშალი 47), სიონ ლაუაკი (მარტი ჰოლა 41), როდნი სო ოიალო, ჯერი კოლინზი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი (ჯეიმს რაიანი 77), გრეგ სომერვილი, კევინ მეალამუ, ტონი ვუდკოკი (კემბელ ჯონსტოუნი 45)

გამოუცდელი სათადარიგოები: ნიკ ევანსი, დაგ ჰაულეტი

5 ლელო: სმიტი, უილიამსი, უმაგა (2), გირი; 5 გარდასახვა: მაკალისტერი; 1 საჯარიმო: მაკალისტერი

2 ყვითელი ბარათი: უმაგა, კოლინზი

ლომები: ჯორდან მერფი (რონან ოგარა 66), მარკ ქუეტო, უილ გრინვუდი, გარეტ თომასი (კაპ) (შეინ ჰორგანი 51), ჯოშ ლიუსი; სტივენ ჯონსი, დუეინ ფილი (მეტ დოუსონი 49); რაიან ჯონსი (მარტინ ქორი 68), ლიუის მუდი (მარტინ უილიამსი 76), საიმონ ისთერბი, პოლ ოკონელი, დონჩა ოკალაჰანი, ჯულიან უაითი, შეინ ბირნი (გორდონ ბალოჩი 70), გეთინ ჯენკინსი (გრეგ როუნთრი 49)

1 ლელო: მუდი; 1 გარდასახვა: ს. ჯონსი; 1 საჯარიმო: ს. ჯონსი

ბრიტანელ-ირლანდიელმა „ლომებმა" ახალზელანდიური ტურნე შაბათს ოკლენდში მესამე ტესტ-მატჩით დამთავრეს. დამთავრდა სერ კლაივ ვუდვორდის წვალებაც, რომელმაც „შავებს" ამჯერადაც ვერაფერი დაუპირისპირა და, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრებმა ბოლო თამაშშიც მარცხი იწვნიეს ტანა უმაგა და კომპანიისაგან.

„ლომებს" ტურნეს განმავლობაში ზელანდიელებთან სამივე თამაში აქამდე მხოლოდ ორჯერ წაუგიათ. პირველად 1966 წელს, მეორედ კი არცოუ შორეულ 1983-ში. წლეულს სამივე თამაშში ევროპელებმა 12 ლელო მიიღეს და მხოლოდ სამის გატანა მოახერხეს. საერთო ჯამში კი 40:107 დამარცხდნენ.

ბოლო ტესტ-მატჩის პირველი წუთები „ლომებისა" იყო. ისევე როგორც წინა თამაშში, ევროპელებმა ახლაც კარგად დაიწყეს და ანგარიში სტივენ ჯონსის საჯარიმო დარტყმით გახსნეს, ცოტა ხანში კი ლელოს გატანის რეალური შანსი მიეცათ, თუმც ტანა უმაგამ დონჩა ოკალაჰანი ზედ ჩათვლის მოედანთან შეაჩერა აკრძალული ილეთით, რაც მას ყვითელ ბარათად დაუჯდა, მის გუნდს კი ჯონსის მიერ გატანილ კიდევ ერთ საჯარიმოდ.

ევროპელები 6:0 დაწინაურდნენ, თუმცა გამარჯვება რომ არ ეწერათ, თამაშის იმტაზე მოსული ზელანდიელების შემხედვარე მალევე მიხვდებოდით. კონრად სმიტმა ლელო ისე გაიტანა, რომ გორდან მერფი, რომელიც მის შეჩერებას თავგანწირვით ცდილობდა, არც კი შეუმჩნევია. მაკალისტერს გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია და მასაბინძლები წინ გავიდნენ, მაკალისტერს სულ რაღაც ერთ-ორ წუთში მეორედ მოუხდა გარდასახვის დარტყმა. ელელო ალი უილიამსმა მიიღო ჯარა.

კრის ჯეკის უხეშობამ სტივენ ჯონსს კიდევ ერთხელ გაუტანია საჯარიმო და სტუმრებმა სხვათა შეკამათების

თითო საჯარიმო მაკალისტერმა და ჯონსმა ტანა უმაგას ელელიც კიდევ გაცვალეს. ზელანდიელთა ათიანმა ეს ელელოც გარდასახა და ტაიმი „შავებმა" 24:12 ძიოგეს.

პირველ ნახევარში დაწყებულმა წვიმამ მეორე ტაიმში იკლო, თუმც ამან შვება მხოლოდ მაყურებლებს მოჰგვარა. გაკეთებული ცვლილებების მიუხედავად, „ლომთა" თამაში პროგრესი არ დასტყობია

ლიუის მუდის ერთხელ შეტანილი სივივატეს ელელოს ხარხიან შეტანრება, თუმც ცოტა ხანში მაინც მაინც გაიტანეს. ტანა უმაგამ ბანი ჯასტინ მარშალისგან მიიღო, პოლ ოკონელს გასცდა და ჩათვლის მოედანში დაამწყო. გარდასახვის შემდეგ ანგარიში 31:12 გახდა.

ერთადერთი, ვინც ელელოს გაკეთა შეძლო „ლომთა" მხრიდან, ლიუის მუდი გახლდათ. ჯონსის გარდასახვამ სხვათა უფრო შეაძლო. თუმცა მატჩის დასრულებამდე ახალზელანდიელებმა კიდევ ერთხელ შეალწიეს მომხვდურთა ჩათვლის მოედანზე. ელელო რიკო გირის ანგარიშზეა, მაკალისტერის გარდამსახველმა დარტყმამ კი საბოლოო ანგარიში, 38:19 დაფიქსირა.

ლადო ფულუკიძე

ლომების ტურნე

25 ივნისი. ქრაისთჩარჩი
ახალი ზელანდია 21:3 ლომები
2 ივლისი. ველინგტონი
ახალი ზელანდია 18:18 ლომები
9 ივლისი. ოკლენდი
ახალი ზელანდია 48:19 ლომები

სტატისტიკა

ახ.ზელანდია — ლომები

107	ანგარიში	40
12	ლელო	3
10	გარდასახვა	2
9	საჯარიმო	7

ყველაზე მეტი ქულა

1. კარტერი (ახ. ზელანდია) 44 ქულა (2 ლელო, 5 გარდასახვა, 8 საჯარიმო)
2. უმაგა (ახ. ზელანდია) — 15 ქულა (3 ლელო)
3. ს. ჯონსი (ლომები) — 14 ქულა (1 გარდასახვა, 4 საჯარიმო)

ყველაზე მეტი ლელო

ტანა უმაგა (ახ. ზელანდია) — 3

ლაბაძემ ნახევარფინალს უწია

რეჯიონალური ჩელენჯერზე ნახევარფინალში გასვლის, ხოლო ბიელურში სულაც მოგების შემდეგ ირაკლი ლაბაძემ ჰოლანდიურ შეეენინგენს მიაშურა და იქაურ ჩელენჯერტურნირზე ისევ ნახევარფინალს უწია. პირველ წრეში მან ადგილობრივ ვან დერ დიომს აჯობა 6:4 6:2, მეორეში გამოცდილ ფრანგ ჟულიენ ბენეტოს გასცდა 6:4 7:6 (7:5), მეოთხედფინალში ავსტრიელ დანიელ კოლერერს მოუგო 7:6 (7:5) 2:6 6:4 და მხოლოდ საფინალო საგზურისთვის ბრძოლაში წაიფორხილა ჰოლანდიელსავე მელე ვან გემერდენთან 3:6 4:6.

ᲬᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲑᲐᲡᲢᲐᲓᲘ. ᲗᲘᲗᲮᲜᲐᲠᲘ. ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 302 ᲐᲗᲐᲡᲘ €

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (1, ესპანეთი) — **ᲮᲣᲐᲜ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ** (5, ესპანეთი) 6:3 6:3; **ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ** (3, ესპანეთი) — **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲘᲣᲟᲜᲘ** (6, რუსეთი) 3:6 6:4 6:3; **ᲢᲝᲛᲐᲨ ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ** (ჩეხეთი) — **ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲡᲐᲑᲐᲚᲔᲢᲐ** (არგენტინა) 6:3 6:2; **ᲘᲠᲟᲘ ᲕᲐᲜᲔᲙᲘ** (ჩეხეთი) — **ᲝᲡᲙᲐᲠ ᲔᲠᲜᲐᲜᲓᲔᲡᲘ** (ესპანეთი) 6:4 6:2

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲜᲐᲓᲐᲚᲘ — **ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ** 6:3 6:3; **ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ** — **ᲕᲐᲜᲔᲙᲘ** 7:5 6:1

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲜᲐᲓᲐᲚᲘ — ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ 2:6 6:2 6:4

19 ᲬᲚᲘᲡ მალიორკელი ფასკუნჯის ონავრობანი გასულ კვირაში შვედეთის ღია პირველობაზეც შთამბეჭდავად და ტიტულიანად გაგრძელდა. წლეულს თავის მეშვიდე თიხნარფინალში გასულმა რაფა ნადალმა წარმატებული სვლაგეზი არც ამ ჯერზე გაიმრუდა და სათიხნარო სეზონი მეშვიდე ტიტულით მოიგვირისტა.

მისებრ თინეიჯერი ტომაშ ბერდიხი — და, მოგაგონებთ, რომ თინეიჯერთა ფინალური დაპირისპირება ბოლოჯერ დელრი ბიჩში, 18-18 წლის ლეიტონ ჰიუიტსა და ქსავიე მალისს შორის შედგა — მას რიგიანად ებურთავა და ჩვენი ჰალალი სიმპატიაც დაიმსახურა. ოღონდ გადამწყვეტი გათამაშებებისას უფრო აგრესიული და უფრო ჩუბინი მაინც ნადალი იყო.

ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგანაც წლეულს ეს უღონიერესი და უნიჭიერესი ყრმა თიხნარის ჭეშმარიტ მეუფედ მოგვევლინა. მან ამ საფარზე ოდენ ორი მარცხის წილ მეტოქენი 43-ჯერ შემუსრა და ისე-რა კოსტა დე საუიპურსა და აკაპულკოურ ტიტულებს — ბარსელონურისა და გუშინ ნაშოვნი გშტაადურის გარდა — მონტეკარლოური და რომაული მასტერსჯილდოები და სულ მთლად როლანგაროსული განსხვავებულიც დაურთო. გუშინ კი ბერდიხს რომ გაუსწორდა, ეს მისი ზედიზედ 29-ე თიხნარგამარჯვებაა, რაიც ასევე იმსახურებს გამორჩევას.

ᲜᲐᲓᲐᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ᲤᲐᲡᲙᲣᲜᲯᲘ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ

რაფაელ ნადალი

სულ მას წლეულს რვა მარცხის სანაცვლოდ უკვე 54 გამარჯვება დაეკვეხება, რაიც — თავად როჯერ ფედერერის 58:3-იან ბალანსთან შედარებისასაც კი — მაინც საარაკო მიღწევაა. როჯერსვე აქვს მასზე მეტი ტიტული — ამქრის შვეიცარიელმა პირველოსანმა საამმომენტოდ ჭიპი უკვე რვა ჯილდოს მოუკრა.

იმედია, ამ ორი ბრწყინვალე მეჩოგნის პირველობა ძალიან მალე, ჩრდილოამერიკული სამაგარსაფრო სეზონის დაწყებისთანავე გაგვიახლდება. უფრო შუშპარა და მჩქეფარე სადღეგრძელოებიც მერე იყოს.

ტომაშ ბერდიხს კი ჩვენი მხურვალე სალამი — ამ ტურნირიდან ის ნადალთან მოგებული სეტის გარდა კეთილ მოგონებად იმასაც გაიყოლებს, რომ ტურნირიდან ორგზის ტიტულდამცველი მარიანო საბალეტა აოტა.

ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲒᲨᲢᲐᲐᲓᲘ. ᲗᲘᲗᲮᲜᲐᲠᲘ. ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 400 ᲐᲗᲐᲡᲘ €

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲡᲢᲝᲜ ᲒᲐᲣᲓᲘᲝ (2, არგენტინა) — **ᲐᲜᲓᲠᲔᲐᲡ ᲡᲠᲘᲐ** (იტალია) 6:4 1:6 7:6 (7:5); **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲛᲐᲡᲣ** (7, ჩილე) — **ᲚᲣᲘᲡ ᲝᲠᲜᲐ** (პერუ) 6:4 6:4; **ᲠᲐᲖᲕᲐᲜ ᲡᲐᲑᲐᲣ** (რუმინეთი) — **ᲞᲝᲢᲘᲢᲝ ᲡᲢᲐᲠᲐᲩᲔ** (იტალია) 0:6 7:5 7:5; **ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲡ ᲕᲐᲕᲠᲘᲜᲙᲐ** (შვეიცარია) — **ᲤᲠᲐᲜᲙᲨᲔᲙ ᲩᲔᲠᲛᲐᲙᲘ** (ჩეხეთი) 6:4 7:6 (7:5)

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲣᲓᲘᲝ — **ᲛᲐᲡᲣ** 6:3 6:2; **ᲕᲐᲕᲠᲘᲜᲙᲐ** — **ᲡᲐᲑᲐᲣ** 7:6 (9:7) 6:4

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲣᲓᲘᲝ — **ᲕᲐᲕᲠᲘᲜᲙᲐ** 6:4 6:4

ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ როლანგაროსობის ჩემპიონმა, არგენტინელმა გასტონ გაუდიომ წლეულს თავის მეოთხე სათიხნარო ფინალს უწია და — თავადაც ხედავთ — მეოთხედე იმარჯვა. მას ეს მაინცდამაინც არც გასჭირვებია, რაკიღა გადამწყვეტ მატჩში მეტოქედ თუმცა ადგილობრივთა ფავორიტი, მაგრამ მაინც დასტურ გამოუცდელი, რა ?ესაზელო სტანისლას ვავრინკა ერგო.

20 წლის ვავრინკამ, ვინაც ლოზანელია, ამ ტურნირამდე მსოფლიო რეიტინგსიის 69-ე ალაგას იდგა და როჯერ ფედერერის პროტეჟე-ძმაკაცად ითვლება, პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილ ფილიპო ვოლანდრის აჯობა. მემრე სამი მატჩბურთი გადაარჩინა ფერნანდო ვერდასკოს წინააღმდეგ, ხოლო მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში უკვე თავისებრ ჭყინტლ მეჩოგნეებს — ჩეხ ჩერმაკსა და რუმინელ საბაუს გაუსწორდა.

კარიერის პირველ საეტიპიო ფინალში გასულს მას შანსი ჰქონდა, ჰაინც გიუნტჰარდტისა (1980) და იმავ ფედერერის (2004) შემდეგ ამ ტურნირის მომგები მესამე შვეიცარიელი გამხდარიყო, მაგრამ — აპრუწუწუნ — ჯიშად მეოთხნარე გაუჩოს წინააღმდეგ ეგრეც ვერაფერი გააწყო.

თავის მეორე გშტააღურ ფინალში მობუქნავე 26 წლის გაუდიომ — და, უნდა გახსოვდეთ, 2002-ში მან იქ ჯომარდ ესპანელ ალექს კორეჩასთან დათმო — ეს მატჩი დამაჯერებლად ჩაითამაშა, შედარებით ჭაბუკი მეტოქე საჩოგნეზე ერთხელაც არ გაუკარებია და პირველი გათამაშებიდან საოთისა და 42 წუთის თავზე წლის მეოთხე, ხოლო კარიერის მეშვიდე ტიტული შესაშური გაუსაჩივრელობით მოიმკა.

შეგახსენებთ, რომ მან წლეულს ასევე ვინა დელ მარში, ბუენოს აირესსა და ეშტორილშიც იმარჯვა და, რომ ამქრის ცეცხლოვან ფასკუნჯ რაფაელ ნადალის მერე ამქრის უწაუქესი მეოთხნარე გახლავთ. 11 მარცხის წილ ის უკვე 38 გამარჯვებას მოიძევს და აქედან თიხნარზე მისი ბალანსი 7 მარცხის წილ 33 გამარჯვებაა.

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲖᲔᲞᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲐᲨᲨ 3:1

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ — ვინუს უილიამსი 5:7 6:4 6:2; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐ** — მაშონა ვაშინგტონი 7:5 6:4; **დემენტიევა** — **ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** 1:6 2:6; **ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ** — **ჯილ კრეიბასი** 6:2 6:4

ᲗᲣᲙᲘ იმაში, რომ ახლახანს მესამედ გაუიმბლდონისჩემპიონებული ვინუს უილიამსი მოსკოვში ერთ შეხვედრას მაინც მოიგებდა, ეჭვი მაინცდამაინც არ გვეპარებოდა, მის თანაგუნდელთაგან ბევრს არაფერს ველოდით — ზეათეულელთ, ანასტასია მისკინასა და ელენა დემენტიევას არც უსახელო მაშონა ვაშინგტონის ძლევა უნდა გასჭირვებოდათ და არც რომელიმე მას ჩანაცვლებული ამერიკელი მდედრისა.

ასეც მოხდა. შაბათს ელენა დემენტიევამ თავის პირველ ფედთასზე მოჩოგნავე ვაშინგტონს აჯობა, კვირას კი ანასტასია მისკინამ 30 წლის ვეტერან ჯილ კრეიბასს გადაუარა და, რაკიღა წინა დღეს ვინუსისთვისაც მოეგო, ყველაფერიც გაირკვა — რუსმა ქალებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და თასის ჩვიდმეტგზის მფლობელთ მეხუთე დაპირისპირებაში მაინც აჯობეს.

საქმეს ვერც იმან უშველა, რომ ვინუსმა კვირას ელენა დემენტიევა გაანადგურა. აი, პირველ დღეს მისკინასაც რომ მორეოდა, მაშინ ეგებ საფინალო საგზური ამერიკელებს მოსკოვიდან წყვილთა მოგებით მაინც წამოეღოთ, მაგრამ ეგ უკვე კავშირებითი კილოა. თხრობითი კი ის გახლავთ, რომ წინისწინა კვირაში საჩემპიონოდ ნაბალახარ ვინუსს მოსკოვის ოლიმპიური სტადიონის თიხნარზე ერთობ გაუჭირდა შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონ მისკინას დამორჩილება — მართალია, პირველი სეტი წაჰგვარა, მაგრამ დამშვიდებულსა და აზრზე მოსულს მერე ველარაფერი მოუხერხა.



AP მოსკოვიდან

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ელენა დემენტიევა

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ — ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ 3:0

ᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲖᲛᲝ — **ᲐᲜᲐᲑᲔᲚ ᲛᲔᲓᲘᲜᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲡᲘ** 6:4 6:3; **ᲛᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲡᲘ** — **ᲜᲣᲠᲘᲐ ᲚᲘᲐᲒᲝᲡᲢᲔᲠᲐ ᲕᲘᲕᲔᲡᲘ** 6:4 6:4; **ᲛᲝᲠᲔᲖᲛᲝ** — **ᲚᲘᲐᲒᲝᲡᲢᲔᲠᲐ ᲕᲘᲕᲔᲡᲘ** 6:3 6:1

ᲐᲛ შეხლის შედეგზე კაცს მსუყედ რომ უნდა ჩაგეფსონა, თავიდანვე აშკარა იყო. ამელი მორეზმო და მარი პირსი ახლა ისეთ ყუმბარფორმაში გახლავან, რომ მათ უსახელო ესპანელ გოგონათა რაზმეული კი არა, ბარე არა ერთი ტიტულოვანი ნაკრები ვერ დაუდგებათ. ამა უკანასკნელთა შორის რუსული მდედრიონიც იქნება თუ არა, ამას 17-18 სექტემბერს ფედთასის ფინალში ვიხილავთ, რაიც სავარაუდოდ როლანგაროსულ სანახებში გაიმართება და რომელშიც ფრანგები შარშანდელ ფინალში ნაწვნევი მარცხისოვის რევანშის აღებას ეცდებიან.

საკუთრივ შეხლაზე მოსაყოლი ბევრი არც არაფერია. წარმატებას საძირკველი შაბათს ამელი მორეზმომ ჩაუყარა, როცა ანაბელ მედინა გარიგესი ჰგვემა და მანვე მოასხა ნაღები საფინალო ტორტს გუშინ ნურია ლიაგოსტერს ვივესის გაიმასქნებით.

სხვათა შორის, ეს მისი ზედიზედ მე-14 და მე-15 საფედთასო გამარჯვებები გახლდათ. ამათ შუაში კი შევეტერნებული ბანოკნის, მარი პირსის დამაჯერებელი გარჯა ვიხილეთ, რასაც ეგევე ლიაგოსტერა ვივესი ემსხვერპლა.

სხვაფრივ კი შეგახსენებთ, რომ ფრანგები უკვე ზედიზედ მესამედ იფედთასფინალებენ. შარშანდელ მარცხამდე მათ 2003 წლის სატიტულე დაპირისპირებაში ამერიკელთა ნაკრებს სძლიეს. თუ რა და როგორ . იქნება წლეულს, ამას — ღმერთმა თქვენ და ჩვენ ჯანის სიმრთელე მოგვცეს და — სექტემბრის ზემორე აღნიშნულ დღეებში ვნახავთ.

ჰო, მართლა — ამ ორივე ნახევარფინალის დარჩენილი, არაფრის მაქნისი, „მკვდარი“ მატჩების შესახებ ხვალ, ზეპურ ჯგუფში გადმოსასვლელ პლეიოფთა მცირე მიმოხილვის პარალელურად გავისაუბროთ.

ხუანმაც გაიხარა
ფერნანდომ კი ტიტული თითქმის გაინაღდა



AFP სოლომონ ტოროუნიდან

ხუან-პაბლო მონტოიამ გუშინ თითქმის უკვე ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს აჯობა

ვერ გაუმართლა ვარაუდი კიმი რაიკონენმა ბუქმეიკერებს. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშების წინ ისინი გამარჯვებას სწორედ ფინელ მრბოლს უწინასწარმეტყველებდნენ და არა წლეულს უკვე ხუთი ეტაპის მომგებ ფერნანდო ალონსოს, რადგან „ყინულის კაცის“ ბოლიდის აეროდინამიკური მახასიათებლები იდეალურად უხდება სილვერსტოუნის ტრასას.

თავიდან კიმის საქმე მშვენივრად მიდიოდა — თავისუფალი პრაქტიკისას მისი „მაკლარენი“ ყველაზე სწრაფი იყო, მაგრამ მეოთხე გასვლაზე „მერსედესის“ ძრავამ აურია და შესაცვლელი შეიქნა, ეს კი დებულების თანახმად სტარტზე ათადგილიანი ჩამოქვეითებით ისჯება.

ზუსტად გამეორდა ერთი კვირის წინანდელი, ფრანგული ეტაპის ამბავი. მაშინაც ვარჯიშისას მოტორის გაფუჭების გამო მიიღო რაიკონენმა იგივე სანქცია. ეგაა, მანი კურში მან კვალიფიკაციისას მესამე შედეგი აჩვენა, ამჯერად მეორე იყო და რბოლის დაწყებაც მე-12 საფეხურიდან მოუხდა.

პოული ჩემპიონატის ლიდერმა ალონსომ მოიგო, წლეულს მეოთხედ და რბოლაში წარმატების მშვენიერი შანსიც მიიღო. მის გვერდით პირველ რიგში BAR-ელი ჯენსონ ბატონი მოკალათდა.

ბატონთან დაკავშირებით გუშინ იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა“ ინგლისურ „მირორზე“ დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მართალია, ბრიტანელი პილოტის „უილიამსში“ გადასვლა თითქოსდა გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ თურმე „ფერარიში“ მიდის. იგი „სკუდერიაში“ რუბენს ბარიკელოს გაუცვლის ადგილს. კონტრაქტი ორსეზონიანიაო და ბატონი თითქმის 30 მილიონ ევროს მიიღებს.



რბოლის შედეგები

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
10 ივლისი. სილვერსტოუნი

დისტანცია 60 წრე — 308,355 კმ

1.	(3)	მონტოია (მაკლარენი)	1.24.294 (219,0 კმ/სთ)
2.	(1)	ალონსო (რენო)	ჩამორჩა 02,8
3.	(12)	რაიკონენი (მაკლარენი)	14,4
4.	(6)	ფიზიკელა (რენო)	17,9
5.	(2)	ბატონი (B.A.R)	40,3
6.	(9)	მ.შუმახერი (ფერარი)	1.15,3
7.	(5)	ბარიკელო (ფერარი)	1.16,6
8.	(8)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	1.19,2
9.	(4)	ტრული (ტოიოტა)	1.20,9
10.	(16)	მასა (ზაუბერი)	1 წრით
11.	(11)	ვებერი (უილიამსი)	1 წრით
12.	(14)	პიდფელდი (უილიამსი)	1 წრით
13.	(13)	კულპარდი (რედ ბული)	1 წრით
14.	(10)	ვილნევი (ზაუბერი)	1 წრით
15.	(15)	კლიენი (რედ ბული)	1 წრით
16.	(7)	სატო (B.A.R)	2 წრით
17.	(20)	მონტეირო (ჯორდანი)	2 წრით
18.	(18)	ალბერსი (მინარდი)	3 წრით
19.	(19)	ფრიზაჩერი (მინარდი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშა

(17) კარტიკეიანი (ჯორდანი) გაიარა 10 წრე

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

ალონსო — 1.19,905 (231,6 კმ/სთ)

საუკეთესო წრე

რაიკონენი — 1.20,502 (229,9 კმ/სთ)

სენსაციური ამბავია იმის გათვალისწინებით, რომ ცოტა ხნის წინ „ფერარიმ“ ოფიციალურად დაადასტურა რუბინიოსთან საგაისო თანამშრომლობა.

სილვერსტოუნში რბოლის წინ გამწვავდა ურთიერთობა მძღოლებსა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის.

ეს გამოძახილია 19 ივნისს ინდიანაპოლისში აგორებული „მიშლენის“ საქმისა. შეგახსენებთ, მაშინ უსაფრთხოების თვალსაზრისით ამ ფრანგულ საბურავებიანმა შვიდმა გუნდმა აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობა არ მიიღო.

ფედერაციამ საგანგებო სხდომაზე საჯინიბოები გაზვიადებულრისკიან ბოიკოტში დაადანაშაულა, რამაც „პროტესტანტების“ თავმოყვარეობა შელახა, საფრთხე რეალური იყო და მომავალში იგივე რომ არ გამეორდეს, უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა გამკაცრდესო.

ერთი სიტყვით, „დიდი პრიზების მძღოლთა ასოციაციამ“ (GPDA), რომლის დირექტორიც შოტლანდიელი დევიდ კულჰარდია, ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის მოთათბირება შესთავაზა სწორედ ბრიტანული ეტაპის დღეებში, რაზეც უარი მიიღო, სხვა დროს და სხვაგან შეეხვდეთო. ამ პასუხმა მრბოლები უფრო გააღიზიანა და მართალია, ჯერჯერობით რადიკალური ნაბიჯებისგან თავს იკავებენ, მაინც „სამეფო რბოლებიდან“ გამოსვლით და ალტერნატიული ჩემპიონატის მოწყობით იმუქრებიან.

მუქარა მუქარად, მაგრამ [illegible] არაფერი მომხდარა და [illegible] ქვეყანამ გაიჯირითა. ის კი ცნობილი გახდა, რომ საკითხი საყოველთაო-საფორმულო შეკრებების წინ, პირველ აგვისტოს გაირჩევა.

თავიდანვე ვიტყვით, რომ უინტერესო, უგასწრებო რბოლა გამოვიდა და, პირველ „ცხელ“ წრეს თუ არ ჩავთვლით, ოვალსასეირო ბევრი არაფერი ყოფილა.

გასახურებელი წრის ბოლოს „ბოსტან“ ძრავა ჩაუქრა ტაკუმა სატოს BAR-ს. რბოლა მაინც დაიწყო და ვიდრე იაპონელის მანქანის ევაკუაციამდე ორი წრით უსიფრთხოების „მერსედესი“ გაუძღვებოდა ქარავანს, დიდი ამბები მოხდა. ყველაზე ყოჩაღად დაიძრა ხუან-პაბლო მონტოია და პირველ მოსახვევამდე გაასწრო ბატონსაც და ალონსოსაც. იყოჩაღა რაიკონენმაც, სატოს ჩათვლით, ოთხი პოზიციით გაიუმჯობესა სიტუაცია.

მონტოიამ ბრწყინვალედ წარმართა ბრძოლა და რაიკონენის ჯარიმა რომ არა, მაკლარენელებს იქნებ დუბლითაც ვეამარჯვათ.

ეს 29 წლის კოლუმბიელის მიმდინარე სეზონში პირველი, ხოლო 76-რბოლიან კარიერაში მეხუთე დიდი პრიზია. ცხადია, ალონსო სამეორეადგილო რვა ქულით „მაყოფილი დარჩა, რადგან უფრო გაჩარდა მდევრებთან სხვაობა.

ხუანთან ერთად ეტაპის ვმირად რაიკონენიც უნდა ჩაოვალოს. მისი „მაკლარენიც“ მშვენიერია და თავად მძღოლიც ჩემპიონობის ღირსი, თუმცა სადღეისოდ ალონსოს შანსი ლამის ასპროცენტიანია.

ზედიზედ მეორედ გაიხარა ბატონმა [illegible] ორი ეტაპის წინ უქულო უკვე მ[illegible]-12 [illegible]

კვლავ ჩაფლავდნენ ფერარელები. [illegible] კელოს სუპერტანდემისივის ხუთი ქულა ვერაფერი შეეცვა.

დაბოლოს, იმაზე, რომ ინგლისელი ხელშაბათს მომხდარ ტერაქტებს, ბუნებრივია, გამოძახილი ასეოდე კილომეტრით დაშორებულ სილვერსტოუნშიც მოჰყვა. ავტოლორომზე დაცვის გაორმაგებული ზომები მიიღეს, წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას, პოდიუმზე კი პრიზიორებს შამპანურით არ უწუწავიათ.

გია ახალაძე

		ავსტრალია 6 მარტი	მალაიზია 20 მარტი	ბაჰრეინი 3 აპრილი	სან მარინო 24 აპრილი	ესპანეთი 8 მაისი	მონაკო 22 მაისი	კანადა 29 მაისი	ევროპა 12 ივნისი	აშშ 19 ივნისი	საფრანგეთი 3 ივლისი	დ.ბრიტანეთი 10 ივლისი	შვეიცარია 24 ივლისი	შპანია 31 ივლისი	უნგრეთი 21 აგვისტო	იტალია 4 სექტემბერი	बელგია 11 სექტემბერი	ბრაზილია 25 სექტემბერი	იაპონია 9 ოქტომბერი	ჩინეთი 16 ოქტომბერი	ჯამი
1	ალონსო, რენო, ესპანეთი	6	10	10	10	8	5	10	–	–	10	8									77
2	რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	1	–	6	–	10	10	–	10	–	8	6									51
3	მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	–	2	–	8	–	2	4	8	10	6	3									43
4	ბარიკელო, ფერარი, ბრაზილია	8	–	–	–	–	1	6	6	8	–	2									31
5	ტრული, ტოიოტა, იტალია	–	8	8	4	6	–	1	–	–	4	–									31
6	მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია	3	5	–	–	2	4	2	–	–	–	10									26
7	ფიზიკელა, რენო, იტალია	10	–	–	–	4	–	3	–	–	3	5									25
8	პაიდფელდი, უილიამსი, გერმანია	–	6	–	3	–	8	8	–	–	–	–									25
9	რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	4	5	–	5	3	–	3	–	2	1									23
10	ვებერი, უილიამსი, ავსტრალია	4	–	3	2	3	6	–	4	–	–	–									22
	კულპარდი — 17, ბატონი — 9, მასა — 7, გურეი, მონტეირო, ვილნევი — 6, კარტიკეიანი — 5, დე ლა როსა, ალბერსი, კლიენი — 4, ფრიზაჩერი — 3, ლიუეი — 1 ქულა																				
1	რენო	16	10	10	10	12	5	13	–	–	13	13									102
2	მაკლარენი	4	5	10	6	12	14	2	10	–	8	16									87
3	ფერარი	8	2	–	8	–	3	10	14	18	6	5									74
4	ტოიოტა	–	12	13	4	11	3	1	3	–	6	1									54
5	უილიამსი	4	6	3	5	3	14	8	4	–	–	–									47
	რედ ბული — 22, ზაუბერი — 13, ჯორდანი — 11, BAR — 9, მინარდი — 7 ქულა																				

ანა იცვინის

მსოფლიო ჩოგბურთს ახლა სხვა მაგარი რუსი გოგოები ჰყავს, მაგრამ ანა კურნიკოვა კვლავაც ვარსკვლავია. ეგებ ჩობურთისა არა, მაგრამ ყოფა-ცხოვრებისა. შიგადაშიგ კი ჩოგბურთსაც თამაშობს, ისე, როგორც ახლა კალიფორნიაში, სადაც „პრო ლიგის“ გუნდური შეჯიბრია გახურებული.

AFP ნიუპორტიდან

AFP ანგელეს ფაილიდან

მთის მოჭოობა

მთის მოტოთა მსოფლიო თასი ნიუ შექსიკოში გახურებულა. მაგარი საცქერი რამ არის, თუ ტყიან ბორცვებზე ადგილს სწორად შეარჩევ. ეს კი სამხრეთაფრიკელი გრეგ მინაარია, რომელმაც ნახევარფინალს უწია.

AFP ფურარმეიდან

ჭურის ქოთაბი

ტურ დე ფრანსის გზისპირებზე ათასნაირ ხალხს ნახავთ. ერთი ველოტრფიალი ამგვარი წვერულვაშისა იყო, ტომით გერმანელი.



AFP სოლვინსიდან

გაწვალდა

ასეა, როცა გოლფში აცდენ: ილინოისში ჯონ დიარის „კლასიკი“ მიმდინარეობს, მიშელ ვაი კი მეექვსე ორმოს გააწვალა.

AFP ლუ კანედიან

ისევ ჩემპიონი

ფრანგი მირიამ ლიმარი კვლავაც მსოფლიო ჩემპიონია კრიჟში. მორიგი პრეტენდენტი, ტრინიდადელი აიდენ ვესტონი მან მეორე რაუნდში დასცა და თავისი ქალური ქამრებიც შეინარჩუნება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ალბანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ქამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შერაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კვლიურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, იუნგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge